გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmall.com

# სამტრედიის მაცნე

№11 (9365) 15 ივნისი, 2022 წელი ფასი 75 თეთრი

## ეკონომიკური ზრდისთვის გაეროსა და ევროკავშირის დაფინანსებით



2

## გაიმართა პროფკავშირის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია

2

## სამეურვეო საბჭოების ახალ შემადგენლობას ირჩევენ



3

5

## "გომმუხას" წარმატება დავით ბახტაძემ მიულოცა



5

## მიწამ რომ შვილი შეინახა







6

## მზეს შესციცინებდა ბავშვური აღმაფრენა

# ეკონომიკური ზრდისთვის გაეროსა და ევროკავშირის დაფინანსებით

თეა ბაბუნაშვილი

"მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ევროკავშირისა და გაეროს განვითარების ერთობლივი პროგრამაა, რომელიც ინოვაციური პროექტების მხარდაჭერის თვალსაზრისით, 60 ათასი ევროს ფარგლებში, ამ თუ იმ მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილ წინადადებებს აფინანსებს. ამ პროგრამის ფარგლებში მიზნობრივ დაფინანსებას საქართველოს 4 მუნიციპალიტეტი მიიღებს. რუსთავთან, ფოთთან და წყალტუბოსთან ერთად სამტრედიაც იქნება პროექტში ჩართული, რაც დიდწილად მის მერთან, დავით ბახტაძესთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა.

პროგრამის ძირითადი მისიაა მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. 60 ათასი ევროს ოდენობით სასტარტო დაფინანსების მიღება ინოვაციური პროექტების განხორციელებას უნდა მოხმარდეს.

სამტრედიაში სტუმრად მყოფ პროგრამის განვითარების მთავარ სპეციალისტ იურა ნანგსა და პროექტის მენეჯერ თიკო ტყეშელაშვილს მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივ გუნდთან ერთად, რომელიც უშუალოდ მუშაობს მსგავს პროექტებზე, მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და იმ პროექტის პრეზენტაცია წარუდგინა, რომლის განხორციელებასაც დაფინანსების ფარგლებში აპირებენ. საპროექტო წინადადება კი ეროსი მანჯგალაძის სახელობის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული საცურაო აუზის სრულ რეკონსტრუქციას გულისხმობს. "იმ პერიოდში, როცა წარმატებით ფუნქციონირებდა ეს აუზი, კარგად გვახსოვს, რომ მიმდებარე მუნიციპალიტეტებიდანაც ჰყავდა მოსარგებლეები. შესაბამისად, ეკონომიკური აქტივობის ზონის და მოზარდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა ერთობლივადაა შესაძლებელი ამ ობიექტზე. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს თანხა ამ ლოკაციაზე გამოგვეყენებინა. გათვალისწინებული იქნება ახალი ენერგოეფექტური და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. მართალია, პროექტში გამარჯვებულია სამტრედია, მაგრამ ამ ეტაპზე წინადადების განხილვა მიმდინარეობს. სამტრედიის მცხოვრებლებმა, ის რომ სატრანსპორტო კვანძს წარმოადგენთ, კიდევ უფრო გაზარდა მისი ამ პროექტში ჩართვის აუცილებლობა." - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში დავით ბახტაძემ.



გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი იურა ნანგი საუბრობდა იმაზე, რომ: "ეს გახლავთ პროექტი, რომელსაც "ურბანული ხედვა" ჰქვია და ძირითადად მუნიციპალიტეტის განვითარებას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მოსახლეობის საჭიროებებსა და სურვილებზე. ეკონომიკური განვითარება უპირველესია ამ პირობებში და აქცენტები ისეთ წინადადებებზე კეთდება, რომლებიც სწორედ ეკონომიკური კუთხითაც გამართული იქნება." პროექტის "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მენეჯერი თიკო ტყეშელაშვილი ყურადღებას ამახვილებს, იმაზე, რომ: "გასულ წელს გამოცხადებულ კონკურსში, იმ დროისთვის 48 მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა. მათ შორის შერჩეული ოთხიდან, ერთ-ერთი სამტრედიაა. მთავარი კრიტერიუმი, რითაც ვარჩევდით გამარჯვებულს გახლდათ აქამდე განხორციელებული საქმიანობა, სტრატეგიული ხედვები და მოტივაცია, ყოფილიყო ჩართული ამ პროცესებში. პროექტი გულისხმობს რამდენიმეთვიან სასწავლო პროცესს, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები განიხილავენ და გეგმავენ, რა შეიძლება გააკეთონ ამა თუ იმ მუნიციპალიტეტისთვის. სწავლების ბოლო ეტაპზე შემუშავდება საპროექტო განაცხადი კონკრეტულ იდეაზე და მისი განხილვა მოხდება. როგორც აღმოჩნდა, სამტრედიის რესურსი გაცილებით დიდია, ვიდრე აქამდე ვიცოდით. გვინდა ამ პოტენციალის ამოქმედებაში დავეხმაროთ მას. "ინტერვიუ მერთან" – ასეთი მიმართულება აქვს პროექტს და სწორედ მერთან საუბრის შემდეგ, იმდენად ჩამოყალიბებული ჰქონდა მას სამოქმედო გეგმა და ისე წარუდგინა მუნიციპალიტეტი ევროპულ კომისიას, განისაზღვრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის პროექტში ჩართვის აუცილებლობა."

პროექტის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის მერმა და პროექტზე მომუშავე ადგილობრივი წარმომადგენლების ჯგუფმა საცურაო აუზი და მისი მიმდებარე ტერიტორია დაათვალიერებინა.



# გაიმართა პროფკავშირის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლამ უმასპინძლა 4 ივნისს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციას. კონფერენცია პროფკავშირის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ზოია ჯანაშიას, ანგარიშით დაიწყო. მან 2018-2022 წლებში ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები წარმოუდგინა კონფერენციის მონაწილეებს.

ცნობილია, რომ ეს ორგანიზაცია ორიენტირებულია საგანმანათლებლო სისტემაში და სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვაზე. ასევე ზრუნავს ორგანიზაციის წევრების პროფესიული განვითარებისათვის.

პროფკავშირების ორგანიზაციას ჩვენს მუნიციპალიტეტში 483 წევრი ჰყავს, აქედან, საჯარო სკოლაში დასაქმებული–196, ხოლო, სკოლამდელ დაწესებულებებში–287. ზოია ჯანაშიას თქმითვე, სულ რამდენიმე თვის წინ ორგანიზაციას შეემატა სსიპ სამტრედიის მე-9 საჯარო სკოლა, დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის, საჯავახოს, ნიგოზეთის, ჭოგნარის, ბაშის, დახირის, ოფშეთის N 1 სკოლები. ორგანიზაცია არავის აიძულებს გაწევრიანებას, მაგრამ იცავს დასაქმებულთა თავისუფალი ნების გამოხატვის პრინციპს.

ზოია ჯანაშია შეეხო, პროფკავშირის ინიციატივით, 2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებას "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში", რომლის თანახმადაც, დაიშვა გამონაკლისები და უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომელთაც კომპეტენციები დაადასტურეს, მინიმუმ, ერთ კრედიტქულაზე. ეს ცვლილება შეეხოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის მასწავლებლებსაც.

მისასალმებელია, რომ საქმიანი ურთიერთობა მაქვს დამყარებული სამტრედიის რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ქალბატონ თინათინ ხარძიანთან და ზოგიერთი სკოლის დირექტორთან". –აღნიშნა ზოია ჯანაშიამ

სამტრედიის რაიონულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულია სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულების 94%.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ვიცე-პრეზიდენტი ნათია კორძაძე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ითვალისწინებდა სპმთპ-ის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, სპმთპ-ის სამტრედიის რაიონული საბჭოს შემადგენლობის და სპთმპ-ის მეათე ყრილობის დელეგატების არჩევას.

ზოია ჯანაშია პროფკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციას 2013 წლიდან ხელმძღვანელობს, ის ამ პოსტზე უკვე მესამე ვადით აირჩიეს. შემოდგომაზე საქართველოს დემოკრატიული პროფკავშირის მეათე ყრილობას უმასპინძლებს. მიმდინარეობს მზადება ამ მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის.

კონფერენციის დასასრულს, სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის წევრები დაჯილდოვდნენ პროფკავშირულ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და გაწეული დეაწლისათვის.

# სამეურვეო საბჭოების ახალ შემადგენლობას ირჩევენ

ქეთევან ჭელიძე

მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა თინა ხარძიანმა მერიაში სათათბიროდ მოიწვიეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორები.

თინა ხარძიანმა, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა მათ ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი წარმოდგენილი აქტივობებისთვის. აღნიშნა, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან მოსწავლეებისა და ზოგადად ახალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას იწყებენ სკოლებში. "ვიწყებთ სკოლებიდან, სახლიდან, ეზოდან. რამდენიმე სკოლაში ვიცით, რომ არის სხვადასხვა სპორტულ სახეობაში უფასო წრეები. სექტემბრიდან მას დაემატება ხელბურთის წრე. სასიამოვნოა, რომ სკოლებსა და მერიას შორის დაიწყო მჭიდრო ურთიერთობა. ერთობლივი მუშაობით ბევრი რამის გაკეთებას შევძლებთ. სამტრედია უნდა გახდეს ლიდერთა შორის ლიდერი". – აღნიშნა მან.

სკოლასა და მერიას შორის ურთიერთობების დაწყებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ნატალია მანჯგალაძემაც. მან 23 ივნისს – ოლიმპიზმის საერთაშორისო დღეს – ქალაქის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული კალათბურთის მოედნის საზეიმო გახსნა დააფიქსირა. იქვე მერიის სახელით შესთავაზა სკოლის დირექტორებს, რომ წარმოედგინათ იმ მოსწავლეების სიები, რომლებიც იმ დღისადმი მიძღვნილ მეგობრულ შეხვედრებში მიიღებდნენ მონაწილეობას.



მერიაში შეკრების მთავარი მიზეზი თინა ხარძიანის განმარტებით ისაა, რომ: საჯარო "სკოლებში არსებულ სამეურვეო საბჭოების წევრებს ეწურება უფლებამოსილების ვადა. ვიწყებთ საბჭოების ახალი შემადგენლობის არჩევნებისათვის მზადებას. ეს პროცესი რომ ორგანიზებულად და სწორად განხორციელდეს დასახმარებლად მივმართეთ მუნიციპალიტეტის მერიას".

საპირველივნისო ღონისძიებებისათვის სკოლებს მადლობა მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემაც გადაუხადა. ვიდრე კონკრეტულად სამეურვეო საბჭოებში წევრების რეგისტრაციის პროცედურებზე ისაუბრებდნენ, განაცხადა, რომ "სამეურვეო საბჭოს წევრმა უნდა იცოდეს, მოვალეობის მოხდის მიზნით და ადგილის შესავსებად კი არ არის არჩეული, არამედ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ის სკოლის საჭიროებებზე უნდა იყოს ორიენტირებული. გამოთქვა სურვილი მერიის სამსახურის უფროსები და მერის წარმომადგენლები სოფლებში, რომლებიც შეხვედრაში მონაწილეობდნენ.

კომუნიკაციის რეჟიმში იყვნენ სკოლებთან, ხელი შეუწყონ ჯანსაღი გარემოს შექმნას, რაც შექმნის ჯანსაღ საგანმანათლებლო პროცესს.

სასწავლო წელი მთავრდება, დასასრულთან ერთად იქნება ეროვნული გამოცდები და მინდა, სამტრედია მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. ასევე მოწოდების სიმაღლეზე იყოს თითოეული სკოლა. ის შედეგები, რასაც აბიტურიენტები ეროვნულ გამოცდებზე მიაღწევენ, გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის რეპუტაციაზე, თითოეული თქვენი სკოლის რეპუტაციაზე, ამასთან გვინდა, რომ ის ახალგაზრდები წარმატებულები იყვნენ, უმაღლეს სასწავლებლის საფეხურები თამამად დალაშქრონ. ეს განსაკუთრებით გვჭირდება ჩვენ, რომ დავამტკიცოთ ყველაზე ძლიერები ვართ, ყველაზე მაღალი განათლების დონე გვაქვს, ყველაზე კარგი რესურსცენტრი გვაქვს, გვყავს ყველაზე უკეთესი, პედაგოგიური კოლექტივები და ა. შ. სწორედ ასეთი მტკიცებები სჭირდება იმ გარემოებებს. მოვიპოვეთ მეტი მხარდაჭერა, თუნდაც ინფრასტრუქტურის კუთხით. გარანტირებულად ვიცი, რომ მე-4 საჯარო სკოლის მშენებლობა წელს დაიწყება. ნაბაკევშიც ახალი სკოლა აშენდება. მე-12 საჯარო სკოლას კაპიტალური რემონტი უტარდება, მე-10 საჯარო სკოლაშიც მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოებია, დაყენებული გვაქვს საკითხი ტოლების საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე, უნდა დამთავრდეს მიმდინარე შეკეთებითი კაპიტალური რემონტი კულაშის საჯარო სკოლაში, რემონტი ჩაუტარდება ჩხენიშის სკოლას, ასევე მოხდება მე-2 საჯარო სკოლასთან შერწყმული ილორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. ვფიქრობთ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ამაღლებაზე. არ უნდა გვჭირდებოდეს საუბარი დასწრებაზე. მე-12, მე-11 და ხშირ შემთხვევაში მე-10 კლასებშიც კი. ყველა სკოლის გაკვეთილის ცხრილი უნდა იქნეს წარმოდგენილი ჩემთან და რომელ სკოლასთანაც ახლოს ვიქნები, იმ სკოლაში მივალ და მე-12 კლასში შევალ. შეიძლება, ეს არაპოპულარული ნაბიჯი იყოს ჩემი მხრიდან, მაგრამ ჩემი მერობის განმავლობაში ბევრ არაპოპულარულ ნაბიჯს გადავდგამ, რად გვინდა სკოლა, თუ ბავშვი სკოლაში არ მივიდა!

მინდა სამსახურის უფროსები და წარმომადგენლები სკოლებში კომუნიკაციის რეჟიმში იყოთ სკოლებთან, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთესი შედეგები გვქონდეს".

# "სახლი თანადგომას" საპირველივნისო ამანათი

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ააიპ "სახლი თანადგომას" საპირველივნისო ამანათი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის წელსაც მომზადდა.

'სახლი თანადგომას' დირექტორის, მზევინარ ბოხუას კაბინეტის წინ 1-ლი ივნისის დილიდან დაიწყო ხალხმრავლობა, მოდიოდნენ მშობლები, ოჯახის წარმომადგენლები და მიჰქონდათ ამანათი, რომლის შექმნა უკვე დაახლოებით 15 წელია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

წლევანდელ ამანათში შედიოდა: 5 კილოგრამი პურის ფქვილი, 3 კილოგრამი შაქარი, 2 კილოგრამი ბრინჯი, 4 კილოგრამი მაკარონი და 1 ლიტრი ლიმონათი. სულ 50 ლარის ღირებულების. მთლიანმა თანხამ 4900 ლარი შეადგინა. წელს ამანათი 98 ბავშვზე გაიცა, აქედან 17 – 5 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, 81 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე.



ამანათების გაცემაში მზევინარ ბოხუასთან ერთად მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, გიორგი მეიშვილმა. მან 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა მშობლებს და მათ შვილებს ჯანმრთელობა და ხალისიანი ცხოვრების დღეები უსურვა. გიორგი მეიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა "სახლი თანადგომას' და მისი დირექტორის, მზევინარ ბოხუას მისამართით: "დიდი ხანია, თვალს ვადევნებ "სახლი თანადგომას" საქმიანობას, ვიცი, რომ თანამშრომლები მადლიან საქმეს ემსახურებიან საკმაოდ დიდი ერთგულებით. ამ ეტაპზე გაასარეს მრავალშვილიანი ოჯახები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მადლობას ვუხდი "სახლი თანადგომას" მთლიან კოლექტივს, მათ მომავალშიც ვუსურვებ წარმატებულ საქმიანობას".

სამტრედიაში ამირან კალაძის ქუჩაზე მცხოვრები ფიქრია შაკაია 5 შვილის დედაა: როგორც მრავალშვილიანი დედა ამ ამანათს უკვე რამდენიმე წელია, რაც ვღებულობ. უფროსი შვილი 22 წლის მყავს, უმცროსები ტყუპები არიან. საპირველივნისო ამანათს ყოველწლიურად მაძლევენ, როგორც დახმარებას, რაც ჩემი სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობა მინდა, გადავუხადო მზევინარ ბოხუას და მის თანამშრომლებს მუდმივად გულისხმიერი მოპყრობისთვის. აქ მოსვლა ყოველთვის მიხარია".

ააიპ "სახლი თანადგომას" დირექტორმა, მზევინარ ბოხუამ 1 ივნისის მილოცვა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი ასე გამოხატა: "დიდი ხნის წინ გამოაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1-ლი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ.



თუმცა სულ არ იყო საჭირო ქართველი კაცისთვის იმისი შეხსენება, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება, სითბო და სიყვარული სჭირდებათ ბავშვებს ჩვენგან, უფროსებისგან.

დიდი და განსაკუთრებულია მშობლების, ოჯახის, სკოლის, სკოლამდელი აღზრდის და საზოგადოების როლი, მაგრამ მე მაინც უპირატესობას სკოლამდელ აღზრდას ვანიჭებ, როგორც საძირკველს, წლებია, ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას, ბავშვების განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მათ ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, 1-ლი ივნისი მივულოცო ჩვენს პატარებს, ჩვენი ქვეყნის იმედსა და ხვალინდელ დღეს, ჩვენს მომავალს, ვუსურვო უღრუბლო ცა, ღიმილიანი, ბედნიერი, ხალისიანი ყოფილიყოს ყველა ბავშვი განურჩევლად ეროვნებისა ჩვენს პლანეტაზე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ 1 ივნისს ბავშვებო... მიყვარხართ".

# ამბები საამაყო წარსულიდან

თეა ბაბუნაშვილი

საქმე ისაა, დღევანდელობა რამდენად ან რით შევა საამაყო წარსულში, თორემ წარსულიდან საამაყოდ მოსაყოლი ბევრი გვაქვს ქართველებს. ღონისძიება, დანირის საჯარო სკოლაში რომ გაიმართა, საამაყო წარსულის კიდობნიდან ამოძებნილ ამბებზე გახლდათ აწყობილი. განსაკუთრებით საინტერესო და სასიხარულოც იმიტომ იყო, რომ სხვა ღირსეული ქართველების გვერდით, სამტრედიის მკვიდრ იმ ადამიანებზე გახლდათ აქცენტი აღებული, ვისი ხელწერაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს დღემდე აქვს.

უფრო ზუსტად, სასწავლო პროექტი "ამბები საამაყო წარსულიდან", რომელიც მოსწავლეებში საქართველოს დამოუკიდებლობის, ამ მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობის, ისტორიული პიროვნებების როლის შეფასების, ცნებების "დამოუკიდებლობა" და "თავისუფლება" გასააზრებლად შეიქმნა დანირის საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ, ამავე სკოლაში წარმატებით განხორციელდა. მისი ავტორებიცა და ხელმძღვანელებიც სამოქალაქო განათლების პედაგოგი სოფიო დარჯანია და ისტორიის პედაგოგი სოფიო ნოზაძე არიან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი მნიშვნელობა და მიღწევები 1918-1921 წლებში, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, ჩვენი საამაყო წინაპრები, დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდსა და პროცესში ჩართული პირები – საზოგადო მოღვაწეები, დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი და დამფუძნებელთა კრების წევრები სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან – ეს გახლდათ ღონისძიების ძირითადი თემა. სწორედ საკითხების აქტუალობამ და პოლიტიკურმა მასშტაბებმა განსაზღვრა ჯერ ბავშვების დაინტერესება, ხოლო შემდეგ, მომზადებული ღონისძიებისადმი საზოგადოების ინტერესი. თავდაპირველად დანირის საჯარო სკოლის დარბაზში გაიმართა იგი. მასში ჩართული მოსწავლეები საინტერესოდ საუბრობდნენ იმ დროის ისტორიულ ფაქტებსა და ქვეყნის ცხოვრებაში მათ მნიშვნელობაზე. დამსწრეთ გააცნეს ყველა ის სამტრედიელი, ვინც დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა. გარდა ამისა, საზგასმით ისაუბრეს დანირელ ნიკოლოზ ელიავაზე, დამფუძნებელი კრების წევრი რომ გახლდათ და სხვა 12 სამტრედიელთან ერთად მისი ხელმოწერაც არის დამოუკიდებლობის აქტზე. ნიკოლოზ ელიავას მემორიალურმა დაფამ მისივე ფოტოსურათით, პროექტის ორგანიზატორი პედაგოგების ინიციატივით ბინა იქვე, სკოლის ეზოში მდებარე დანირის ღირსეულ მამულიშვილთა მუზეუმში დაიდო. გარდა ამისა, პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა მოამზადეს სასკოლო კედლის გაზეთი. მოეწყო გამოფენა, რომელზეც მოსწავლეების ნამუშევრები გახლდათ წარმოდგენილი. იგი თემატურად შეესაბამებოდა ღონისძიებას.

მუსიკის პედაგოგის, ნანა კოპალეიშვილის, მიერ მომზადებული მუსიკალური ნომრებით მოსწავლეებმა კიდევ უფრო გაალამაზეს საღამო. დამსწრე საზოგადოებას სკოლის პედაგოგები, აღმზრდელები და მშობლები წარმოადგენდნენ. დირექტორმა გოჩა დანელიამ მადლობა გადაუხადა იმ პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ვინც საინტერესო საღამო მოამზადა. ღონისძიება კი სამოქალაქო განათლების პედაგოგმა სოფიო დარჯანიამ და ისტორიის პედაგოგმა სოფიო ნოზაძემ რომ მოამზადეს, თავშივე აღვნიშნეთ.

პროფესიით იურისტი სოფიო დარჯანია პედაგოგიკაში პირველ ნაბიჯებს დგამს. საკუთარ თავზე მუშაობისა და გადამზადების შედეგად პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები წარმატებით ჩააბარა და საარჩევნო ადმინისტრაციაში პროფესიით მუშაობის გარდა, ახალგაზრდულ ჯგუფებთან დაგროვილ გამოცდილებას, საკლასო ოთახში მოსწავლეებთან ურთიერთობისას მიღებულს ამატებს. ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ტრენინგების პარალელურად, შედარებით ახალი სასწავლო დისციპლინის შესწავლა მოსწავლეებისთვის მისთვის ერთგვარი აზარტიც კი არის. სამწლიანი სამასწავლებლო პრაქტიკა აძლევს საშუალებას იფიქროს, რომ მისი პირველი ნაბიჯები წარმატებულია და დიდი პასუხისმგებლობით შეუძლია ამ საქმეში კიდევ უფრო დახელოვნებაზე იფიქროს.

ბოლო ერთი წელი, დანირის საჯარო სკოლის პედაგოგია სოფო დარჯანია. "არა მხოლოდ ჩემგან სწავლობენ, მეც ვსწავლობ ჩემი მოსწავლეებისგან. საუკეთესო შემფასებლები არიან ბავშვები, არც პირად ურთიერთობაში და არც სასწავლო სივრცეში, უპატიებელს არაფერს გაპატიებენ. თუმცა, მათგან ძალიან დიდი პოზიტივი მოდის." – ამბობს იგი. სოფიო ნოზაძეს კი საკუთარი 20 წლიანი პედაგოგიური გამოცდილებიდან შეუძლია თქვას, რომ: "ყოველთვის ასე იყო, მაგრამ თანამედროვეობაში განსაკუთრებით რთულია იყო პედაგოგი. მოდის თაობა განსხვავებული ცნობიერებით, რაც ყოფიერებასთან მის სხვაგვარ დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ამიტომ ჩვენთვის, წინა თაობის ადამიანებისათვის, ორმაგად საპასუხისმგებლოა, მათთან პედაგოგის, მასწავლებლის ფუნქციები ვიკისროთ. შენ მასწავლებელი ხარ, მეტი მოგეთხოვება და შენ უნდა მოერგო მათ, რადგან ისინი არ მოგერგებიან, პირიქით, ისინი არიან ხვალინდელი დღე და მიმართულებას თავად გაძლევენ, რა არის საჭირო არა მხოლოდ მათი, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის. გაძლევენ მიმართულებას, როგორ უნდა გააგრძელო ცხოვრება, რომ შენ თავად მოერგო ახალი თაობის ინტერესებს. ეს კი თანამედროვე პედაგოგიკის აუცილებელი სეგმენტია."

სკოლაში მისი ჩატარებიდან რამდენიმე დღეში, იგივე ღონისძიება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარბაზში გაიმართა. ესეც მოსწავლეების ინიციატივა გახლდათ, მით უმეტეს, რომ დანირის სკოლის რამდენიმე მოსწავლე ახალგაზრდული პარლამენტის წევრია. შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, დანირელმა მოსწავლეებმა, რომლებიც ქალაქის არც ერთი დიდი სკოლის მოსწავლეებს არ ჩამოუვარდებიან განათლების დონით, დარბაზში თავმოყრილი ინტელექტუალური პუბლიკა დააინტერესეს. მათ ნაშრომს უმაღლესი შეფასება მიეცა, რაც იმის დასტურია, რომ ვიწრო გეოგრაფიული დაყოფა ქალაქის და სოფლის სკოლა, არაფერს ნიშნავს, მთავარია, მასწავლებელთან ერთად მოსწავლეც სწავლას იყოს მოწყურებული.





# დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ნოლის საჯარო სკოლაში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს სიმბოლურად უკავშირდება ამ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მესაძირკვლის, საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას დაბადების დღეც. სწორედ ამ მნიშვნელოვან თარიღებს მიეძღვნა ღონისძიება აკაკი შანიძის სახელობის ნოლის საჯარო სკოლაში, რომლის ორგანიზატორები საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები ლევან კუტალაძე, შორენა ჭკუასელი და მარიკა ცინცაძე იყვნენ.

ღონისძიება ისტორიის პედაგოგმა ლევან კუტალაძემ გახსნა და ამ ორი თარიღის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მოსწავლეებმა საქართველოს ჰიმნი და სიმღერა "მუხლი მუხასა" შეასრულეს (მუსიკის პედაგოგი, ქეთინო მეფარიშვილი). გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველოს ეროვნული გმირების ღვაწლზე, მათ პირველ იატაკქვეშა გამოცემებზე, ორგანიზაცია "გორგასლიანზე" და მათ მიერ გაწეულ დისიდენტურ საქმიანობაზე, რასაც შედეგად ეროვნული მოძრაობის უდიდესი აღმავლობა მოჰყვა და 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა.

მოსწავლეებმა დაწვრილებით მიმოიხილეს ეროვნული გმირების, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ბიოგრაფიები, ისაუბრეს ამ დიდი ესთეტების, ჰუმანისტების მრავალმხრივი განათლებისა და ზნეობრივი გმირობის შესახებ. ასევე გაიხსენეს ნოე ჟორდანია, რომელიც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე იყო 1918 წელს, როცა დამფუძნებელ კრებაზე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. 1921 წელს კი ლენინის არმიის შემოსვლის და რუსული ანექსიის შემდეგ, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. ნოე ჟორდანია საფრანგეთიდან მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში. იგი გარდაიცვალა პარიზში.

მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველ კლასიკოსთა ლექსები სამშობლოსა და თავისუფლებაზე. განსაკუთრებით ემოციური იყო მეთერთმეტეკლასელ დავით მესხიძის მიერ წაკითხული იოსებ ნონეშვილის "ღმერთი და ხელები". ღონისძიება ლევან კუტალაძემ მის მიერ დაწერილი პატრიოტული ლექსით დაასრულა.

ნათია ნაცვლიშვილი





# მიწამ რომ შვილი შეინახა

თეა ბაბუნაშვილი

აქამდე საფლავიც არ ღირსებია. რამდენიმე დღის წინ დაიკრძალა საგვარეულო სასაფლაოზე ღიმილის ბიჭად დარჩენილი სამტრედიელი კაცი, 80 წლის შემდეგ რომ მიიბარა მშობლებმა მიწამ. ვასილ პაპავა მეორე მსოფლიო ომში ისე გაიწვიეს სამშობლოს დასაცავად, როგორც ყველა დანარჩენი დიდ სსრკ-ში. 1942-ში წავიდა და ერთ წელიწადში, 1942-დან უკვე შეწყდა ოჯახთან მიმოწერა. საკუთარი ოჯახი არ ჰყოლია, ამიტომ მშობლები და დედმამიშვილები მაინც ელოდნენ უშედეგოდ გადაგებულ ბიჭს. 1955 წლიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა.

ხუთი დედმამიშვილი იყვნენ. დღეს ცოცხალი აღარც ერთი არის, მაგრამ შთამომავლებმა, დედმამიშვილებმა, ძმისშვილისშვილებმა მისი ძებნა არაერთი წლის შემდეგაც არ შეწყვიტეს. უფრო სწორად, მისი საფლავის ძებნას აქამდე განაგრძობდნენ.

... და მიაგნეს. საძიებო ჯგუფის დახმარებით მიაგნეს მიწაში ჩაფლულს იქ, სადაც დაიღუპა, სადაც უკანასკნელად ამოისუნთქა და მისთვის უცხო მიწას მიებარა "შესანახად!"

იდენტიფიცირება მალევე მოხდა, რადგან საკუთარი ნივთები ხელუხლებლად თან ჰქონდა გარდაცვლილს. სპეციალურ სამხედრო კაფსულაში მოთავსებული მონაცემებით დადგინდა, რომ ნეშტი ვასილ რომანოზის ძე პაპავს ეკუთვნოდა. მიწიდან შეკმული ჩაფხუტი, ჯაყვა და ცარიელი ტყვია, რომელიც მიწით იყო სავსე.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვეძებდით, ბაბუაჩემმა ამის დარდი საფლავში წაიღო, მამა ანგია პაპავამ, მისმა ძმისშვილიშვილმა, რომელიც ავჭალაში ერთ-ერთი ტაძრის მოძღვარია. სევასტოპოლში საძიებო ჯგუფმა გასული წლის 10 აგვისტოს აღმოაჩინა ცხედარი. მერე გადმოსვენების პროცედურები დაიწყო და 6 თვე გაგრძელდა. ჯერ თბილისში ჩამოასვენეს და გლდანულას ტაძარში დაასვენეს, ხოლო შემდეგ მშობლიურ სამტრედიაში მაცხოვრის სახელობის ტაძარში გადმოასვენეს, რომელიც ზუსტად იმ სახლს უყურებს, სადაც ვასილ პაპავას ბავშვობამ განვლო და საიდანაც გაუყვა ფრონტის უკანმოუხვევლ გზას.

სამტრედიელი მერაბ პაპავა ვასილ პაპავას კიდევ ერთი ძმისშვილისშვილია. მის უახლოეს ნათესავებთან ერთად ისიც ეძებდა დიდი ბაბუის საფლავს, უნდოდა მისი წინაპრების სურვილი შეესრულებია, მუდამ რომ იგონებდნენ და სიცოცხლის ბოლო წუთამდე სტკიოდათ უგზო-უკვლოდ დაკარგული დედმამიშვილი. იგი მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის მერს, დავით ბახტაძესა და მის მოადგილეს, გია მეიშვილს, გადმოსვენების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მის გარდა კიდევ 9 ქართველი გადმოასვენეს, ლენინგრადის ბლოკადის, ქერჩის, სევასტოპოლის ბრძოლებში დაღუპულები.

ახლა უკრაინაშიც ომია, იმ უკრაინაში, მაშინ საქართველოსავით ერთიანი დიდი სამშობლოს ნაწილი რომ იყო. დღეს კი საქართველოსავით საკუთარ მარწუხებში მოქცევით რომ ემუქრება ერთ დროს მოძმე და დღეს ოკუპანტი, ბარბაროსად ქცეული მტერი. მაშინ რუსეთს იცავდნენ, დღეს რუსეთს ებრძვიან უკრაინაში!

80 წლის წინ 30 წლის ქართველი ბიჭი სევასტოპოლის მიწამ ჩაიკრა გულში. სადაური სად წაიყვანა, რას წარმოიდგენდა, იქ თუ დალევდა სულს პატარა სამტრედიაში დაბადებული. არადა, როგორ სტკიოდა, ალბათ, ახალგაზრდა სიცოცხლესთან დამშვიდობება, ვინ იცის, იქნებ ერთი კაფანდარა გოგოს სიყვარულიც თან წაიღო, ღიმილი პირზე შეაშრა. მისი "ვაი დედა" არავის გაუგონია იმ ზეცის გარდა, თვალები რომ აღაპყრო უკანასკნელად.

ახლა, 80 წლის შემდეგ საკუთარი მშობლების გვერდით დაიკრძალა საგვარეულო სასაფლაოზე. მისი ადგილი იპოვა ქართველმა კაცმა.

საკუთარი ადგილი მიწაშიც საპოვნელია თურმე!







# "გომბუხას" წარმატება დავით ბახტაძემ მიულოცა

*სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლაში მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის, სტუმრობის მიზეზი გომის ქორეოგრაფიული ანსამბლის, "გომბუხას" წარმატება გახდა. ანსამბლმა, რომელსაც 5 წლის ისტორია აქვს, მონაწილეობა მიიღო დედაქალაქში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში "გაზაფხულის რიტმები". ამ ფესტივალში მონაწილეობისა და საშემსრულებლო ოსტატობისათვის მოსწავლეები პირველი ხარისხის ლაურეატის დიპლომებით დაჯილდოვდნენ. დავით ბახტაძემ ანსამბლის თითოეულ წევრს პირადად მიულოცა ეს წარმატება და სამახსოვრო სიგელები გადასცა.*

"გომბუხელებს" წარმატება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გომის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელმა, ჯონი თევზაძემაც მიულოცა.

"გილოცავთ ყველას, ჩემო პატარა მეგობრებო, ამ წარმატებას, მჯერა, გიყვართ თქვენი საქმე და თავდაუზოგავი შრომითა და შემართებით აღწევთ წარმატებებს. გისურვებთ, კიდევ მრავალი მწვერვალი დალაშქროთ. ამისთვის რაა საჭირო? – ბევრი შრომა, ისწავლეთ, იშრომეთ, განვითარდით, დღეს ჩვენს სამშობლოს წარმატებული ადამიანები სჭირდება! " – მიმართა დავით ბახტაძემ ანსამბლის წევრებს.

"გომბუხას" ხელმძღვანელი, ლევან ნუცუბიძე: "დიდი სტიმულია ჩვენი ბავშვებისთვის ბატონი დავითის სტუმრობა, მადლობა, რომ გამონახეთ დრო ჩვენთვის. ფესტივალზე აჭარული "განდაგანა", ჩრდილო კავკასიური ცეკვა "უზრუნტი" და აფხაზური "შარათინი" შევასრულეთ, იქვე ფესტივალზე იმყოფებოდა სამტრედიული ანსამბლი "ლილე", ორივე ანსამბლი წარმატებით წარვსდექით ამ ფესტივალზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ იდეალური მუსიკოსები გვყავდნენ, ჩვენს ბენდში შედიან სახელმწიფო ანსამბლების მუსიკოსები, ზოგი მათგანი უკრავდა "ერისიონში", დიდი აღფრთოვანება დაიმსახურეს მათ. ერთ-ერთი ტელევიზიის გადამღები ჯგუფი მალე აპირებს ჩვენთან სტუმრობას და "გომბუხას" შესახებ გადაცემის მომზადებას."

ანსამბლის ქორეოგრაფები არიან ნოდარ სხვიტარიძე და მედი კიკაბიძე. ღვაწლმოსილი ხელოვანი, ლევან ნუცუბიძე, ქორეოგრაფიის კავშირმა საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ნათია ნაცვლიშვილი









# მზეს შესცინებდა ბავშვური ალმაფრენა

თეა ბაბუნაშვილი

*ფრთამზიან ნიავს დადევნებული, მზეს შესცინებდა ბავშვების თვალებში ჩამდგარი ალმაფრენა...*

*დავწერე ეს წინადადება და გავიფიქრე, ასე წერის დრო არ არის-თქო, სამწუხაროდ! რადგან... რადგან იქ, არც ისე შორს, ანდა ტერიტორიულად შორს, მაგრამ სულში ძალიან ახლოს, ტყვიებს ეწირება ბავშვების სიცოცხლე, დაობლებულ თვალებს ცრემლი ერევა და ატირებული მარტო მიჰყვება ბედის ლაბირინთებს მშობლებს დაცილებული პატარა. ეს იქაა, მაგრამ აქაც, ჩვენთანაც, ბევრ ბავშვს შია და პურს ვერ აწვდიან, სტკივა და საშველი არ არის, ცივა და ვერ ათბობენ, გული სწყდება ბევრ წვრილმანზე და ამქვეყნიურ სიკეთეზე, მაგრამ მიუწვდომელია მისთვის ბავშვობისთვის აუცილებელიც კი.*

*მაინც მოდის 1-ლი ივნისი, მაინც აღნიშნავენ უფროსები საერთაშორისოდ ბავშვთა დაცვის დღეს და სამწუხაროდ, ყოველ პირველ ივნისს მაინც დაუცველი რჩებიან დაცვას დანატრებული პატარები. ნეგატივმოძალებულებს ასე დაწერილის კითხვა აღარ გვსიამოვნებს, აღარ შეგვიძლია, მაგრამ...*

...მაგრამ ისევ მოვიდა 1-ლი ივნისი და ფრთამზიან ნიავს დადევნებული, მზეს შესცინებდა ბავშვური ალმაფრენა. ასე იყო იქ, მომავლის პარკში, სადაც ნაძვების ჩრდილში საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი სანახაობა გაიმართა. ღონისძიებების პირველი ნაწილი სამხატვრო სკოლის მოსწავლეების გამოფენითა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელების კონცერტით დაიწყო. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები მუსიკალური ნომრებით ჩაერთნენ ღონისძიებაში. პატარების ცეკვა-სიმღერით ახმიანებული ფერადი სანახაობა უფროსების ბედნიერი ღიმილის მიზეზი გახდა. მღეროდნენ სამშობლოზე, დედაზე, საქართველოს დროშასთან ერთად მოძმე უკრაინის დროშასაც აფრიალებდნენ და პატარა გულების გულითადობით ეხმაურებოდნენ ომით დამძიმებულ რეალობას, ამხნევებდნენ თანატოლებს, ტყვიების ზუზუნში რომ ხვდებოდნენ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

ნაძვების ჩრდილში მიმობნეული ნახატების გამოფენა, სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრებით მოეწყო. წარმოდგენილი გახლდათ სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრის ნამუშევრები. სამხატვრო სკოლა-გალერეის დირექტორი ნინო ნინუა აღნიშნავდა: "ბავშვების ნიჭიერებასთან ერთად ამ ყველაფერში ჩვენი სკოლის პედაგოგების დიდი შრომაა ჩადებული. მადლობა მათ ამისთვის." უკრაინის ომის ამსახველი ნამუშევრების გარეშე არც ამ გამოფენას ჩაუვლია. სამხატვრო სკოლის მოსწავლემ ნინო მახათაძემ საკუთარი ნახატები ამ მტკივნეულ თემას მიუძღვნა.







საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციის სამტრედიის ფილიალის წარმომადგენლებმა ბიზნესმენ მურიკო მილორავას დაფინანსებით საგანგებოდ შეფუთული ტკბილეული და წითელი ჯვრის ლოგოიანი ბუშტები დაურიგეს პატარებს.

შეიძლება ღონისძიების მეორე ნაწილიც კი დავარქვათ სანახაობას, რკინიგზის მიმდებარედ ახლად გახსნილ სკვერში რომ გაიმართა და სადაც ყველა სკოლა იყო წარმოდგენილი. "ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩვენი სამშობლოა საყვარელი საქართველო" – ლექსის ეს სტრიქონები, შეიძლება ითქვას, ლაიტმოტივად გასდევდა ღონისძიების ამ ნაწილს. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოსს განასახიერებდა თითოეული სკოლა. ამ კუთხეებისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობა, სამზარეული, მუსიკალური ნომრები, იქაური ხედებიც კი, ღია ცის ქვეშ ჰქონდათ წარმოდგენილი მოსწავლეებს.

მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე დღესასწაულს ულოცავდა და უღრუბლო ზეცასა და ბედნიერ მომავალს უსურვებდა პატარებს. იგი ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროს თინათინ ხარძიანთან, კულტურის სამსახურის უფროს ნატალია მანჯგალაძესთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად ესწრებოდა.





# "ახლა კი მინდა, უზარმაზარი შენში ქალაქი აღმოვაჩინო!"

ნათია ნაცვლიშვილი

*გალაკტიონის ეს სიტყვები, საყვარელი სამტრედიის ჰიმნად რომ იქცა, მეფე-პოეტის ქოხის წინ გაიმეორეს მეხუთეკლასელებმა, ირაკლი კიკვაძემ და ანა შანიძემ. ეს ბავშვები ზღვის დონიდან 120 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სოფლის მცირეკონტინგენტიანი სკოლის, ნიგოიზღვის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. ისინი დაცლის პირას მდგომი ერთ-ერთი ქართული სოფლის სკოლას აძლიერებენ და ცდილობენ, საინტერესო, შემეცნებითი გასვლითი პროექტები განახორციელონ, რადგან არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნა საკლასო სივრცეში მიღებულს არ ჩამოუვარდება.*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოიზღვის სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს სასწავლო პროექტი "გალაკტიონი და სამტრედია" (პროექტის ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ნათია ნაცვლიშვილი). მოსწავლეები გაეცნენ მეფე-პოეტის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს, (სიყრმის და სიჭაბუკის წლებს,) რომელიც ძალიან ახლოს იყო დაკავშირებული სამტრედიასთან. როგორც ცნობილია, გალაკტიონი რომ დაიბადა, სოფელი ჭყვიში ქუთაისის მაზრაში შედიოდა და სამტრედიის საბოქაულოს ექვემდებარებოდა. სამტრედიის რკინიგზის სადგური კი ის ადგილი იყო, სადაც ვაჭრობა და პროდუქციის გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა, სწორედ აქ, ამ ხალხმრავალ ადგილას მოიყვანა ურმით პირველად დედამ, მაკრინე ადეიშვილმა პატარა გალაკტიონი და პროკლე, აქ მიიღო გალაკტიონმა მატარებლის ნახვით მოგვრილი უდიდესი შთაბეჭდილება. დედამ მას აუხსნა, რომ ამ რკინის ოთახებს ადამიანები ქალაქიდან ქალაქში გადაჰყავს! და რა იცოდა მაშინ ქვრივმა ქალმა, თუ მისი პირმშო საუკუნეებს თავისი ლექსით შეაზანზარებდა და ქართულ საზოგადოებას მისი ლექსის გენია მოსვენებას დაუკარგავდა! აკი იწინასწარმეტყველა ბუმბერაზმა: "ამგვარ ჭაღებით ათასში ერთხელ ელავს პარტერი, საუკუნეში ერთხელ იღებს ისვრის გრძნობათა მილიარდერი".

სამტრედიის სიყვარულმა მეფე-პოეტს მოგვიანებით ლექსიც დააწერინა, შემდეგ კი, საიუბილეო მოთხოვნათა ნუსხაში ერთ-ერთ საკითხად შეიტანა — დარქმეოდა სამტრედიას საგალაკტიონო!

ვიდრე მოსწავლეები თავიანთ ნაშრომს მეფე-პოეტის სახლ-მუზეუმში წარმოადგენდნენ, კიდევ ერთი საინტერესო ნაბიჯი გადადგეს. გააცოცხლეს გალაკტიონის მარშრუტი და მდინარე რიონზე გადებული საბორნე გადასასვლელით გაიარეს გზა ახალსოფლიდან სოფელ ჭყვიშამდე. ნოდარ ტაბიძის მოგონებებში ვკითხულობთ: "პროკლე ტაბიძე იგონებს: ზაფხულის არდადეგებზე, როცა ქუთაისიდან შინ ვბრუნდებოდით, მე და გალაკტიონი ერთმანეთს გარითმვის ხელოვნებაში ვეჯიბრებოდით, ვერსიფიკატორულ ვარჯიშში თავდაპირველად მე ვჯაბნიდი, შემდეგ უკვე გალაკტიონი".

ემოციებით დატვირთული დღის შემადგენელი ნაწილი დიდი პოეტების, ორპირის ფშანში გაზრდილი ტიციანისა და გალაკტიონის სახლ-მუზეუმების მონახულება იყო. მოსწავლეებმა, პროექტის ფინალური ეტაპის გათვალისწინებით, შთაბეჭდილებები კედლის გაზეთში ასახეს.







# ყოჩაღ, ბავშვებო!

დიდი ხანია, ნიჭიერებასთან, ბავშვებისა და პროფესიის სიყვარულთან ასოცირდება პედაგოგ ნატო ჯამბურიას გვარ-სახელი.

ამ დღეებში მეორე საჯარო სკოლაში მივიწვიეს ლამაზ ღონისძიებაზე, იგი ქალბატონი ნატოს ხელმძღვანელობით მე-6 კლასელებმა წარმოადგინეს. ჩვენს წინ გააცოცხლეს ცრემლითა და სისხლით ნაწერი საქართველოს ისტორია, მისი კულტურა, სარწმუნოებისათვის თავდადებულ მამულიშვილთა მოწამეობრივი ცხოვრება.

ომახიანი სიმღერაც გაისმა დარბაზში და ცეცხლოვანმა ცეკვებმაც სიამოვნებასთან ერთად ერუანტელი მოჰგვარეს დამსწრეთ.

შინაარსობრივად, თემატურად დატვირთული ღონისძიება ლამაზად დასრულდა.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ, მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა თეა კარტოზიამ მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებას და მადლობა გადაუხადეს ნატო ჯამბურიას აქტიურობისათვის.

დიახაც, სჭირდებათ ბავშვებს მსგავსი პატრიოტული ღონისძიებები, სკოლებს — ნატო ჯამბურიასებრი ფუტკარივით დაუზარელი პედაგოგები.

დიდხანს გაგვყვება იმ დღეს მიღებული ლამაზი შთაბეჭდილებები.

ლევან ბაბეჩავა





## მოსწავლის გზამკვლევი

ბევრი წიგნების კითხვით
უკვდავები ვერ გავხდებით,
ყოველგვარ გამოწვევას
უფრო მედგრად დავხვდებით.
ხანგრძლივი სიცოცხლეა,
ყველას ბედნიერება.
რისთვისაც დაგვეჭირდება
ყველგან ზომიერება!
გაზაფხული მშვენიება
იერით და ფერებით,
გონიერული ცხოვრებით
ავად აღარ გავხდებით!

ავთანდილ ბაჩეჩილაძე

# ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზე ხელს იღებს

გაგრძელება. დასაწყისი “სამტრედიის მაცნე” №№7,8.

**ასე მგონია, რომ ღირსეულ სახელებს არ უნდა ვუკარგავდეთ შთამომავლობას, “ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზე ხელს იღებს.**

ამგვარმა დამოკიდებულებამ ჩემი თავის მიმართ საკმაოდ მკაცრი მიდგომა ჩამომიყალიბა. თუმცა, ცხადია ეკამათობდით კიდეც, მაგრამ არასდროს არ მქონია მამასთან რაიმე შეხლა-შემოხლა, ზოგ რამეს ვიწონებდი, ზოგს – ვიწუნებდი, არ ვიღებდი, მაგრამ თავს ყოველთვის ვიჭერდი. მახსოვს ერთხელ რომ მითხრა: “ერთ-ერთ ფილოსოფოსს ნათქვამი აქვს – მასწავლებელს მაშინ ეკამათე, როდესაც მის დონეს მიაღწევო”... არ მინდოდა, ჩემი წინააღმდეგობით გული სტკენოდა, თანაც, უბრალოდ მერიდებოდა. თუმცა, კამათი არაერთხელ მაინც მოგვხვდია, საკმაოდ მწვავეც. მახსენდება, ერთხელ ვიდავეთ სოციალისტურ რეალიზმთან დაკავშირებით. ვუთხარი არ არის კარგი, რომ სოციალისტური რეალიზმის მწერლები ბევრ მოვლენას “დამტკბარად” და “არარეალურად” გამოხატავენ-მეთქი. ამაზე გაეცინა და მითხრა: “შენ ‘დამტკბარად’ და “არარეალურად” მოგაჩნია, ამიტომ არ მოგწონს, მაგრამ იმას კი უნდა ხვდებოდე, რომ თუ ასე ასახავს მწერალი, ეს ნიშნავს, რომ მას უნდა, რომ ასე იყოს – რომ ეს არის მისთვის კარგი და მისაბაძი – ე.ი. მწერალი თავისთავად აკრიტიკებს არსებულს, მოითხოვს იყოს უკეთესი, ისეთი, როგორსაც ის თავის ნაწარმოებებში აღწერს.... თავისთავად ეს უკვე კრიტიკაა გამჭრიახი მკითხველისათვის და საზოგადოებისათვის მისახვედრი... მაგრამ ნაწარმოებში მხოლოდ ეს ხომ არაა ყველაფერი? მთავარი ადამიანია და ადამიანური ურთიერთობები, აი ეს უნდა იყოს ნამდვილი, მართებულად ასახული და გააზრებული”. იქვე გადმოიღო არისტოტელეს “პოეტიკა”, წაიკითხა და განმარტა, რომ: რეალიზმი არ ნიშნავს იმას – იყოს ასახული ზუსტად ის, რაც არის რეალურად, არამედ იმას, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო...

მამა ჩემთვის უპირობო ავტორიტეტი იყო. მახსოვს, სკოლაში რამეს რომ დავაშავებდი, დედა მემუქრებოდა, მამას ვეტყვი და მეც შიში ამიტანდა, თუმც მამა სულ არ იყო ასეთი მკაცრი. პირიქით, საკმარისი იყო გულწრფელად მეღიარებინა დანაშაული და დავპირდებოდი, ამას მეტად აღარ ნავიდეს-მეთქი, რისხვა მაშინვე ლმობიერებაში გადაუვიდოდა. მე არაერთხელ მისარგებლია ამ ეშმაკობით. ისე კი, დედამ სინამდვილეში არ იცოდა დასმენა, პირიქით, თვითონ კარგად რომ გამკიცხავდა, გამაფრთხილებდა, მამას არ გააგებინო ეს, ხომ იცი, როგორი გული აქვს და ტყუილუბრალოდ რად უნდა ვატკინოთო.

**— როგორ ფიქრობთ მიეგო თუ არა საკმარისი პატივი მის სახელს? რას გვეტყოდით მწერლის სახლ-მუზეუმთან დაკავშირებით? ან რაიმე სამომავლო გეგმები რომ არ არის ამის თაობაზე?**

— როგორც უკვე გითხარით, მამა ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო და არასდროს არ იყენებდა თავის ავტორიტეტს ან მდგომარეობას. ხშირად იმასაც კი არ ითხოვდა, რაც ეკუთვნოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ხშირ შემთხვევაში მისი მოხსენებაც კი ავიწყდებოდათ ხოლმე. მაგალითად, გამოაქვეყნებდნენ რაღაც ცნობარს ქართველი მწერლების შესახებ და იქ პარმენ ლორია არ იყო



მოხსენიებული – მიზეზად იტყოდნენ – არავინ შეგვახსენა და ჩვენ რა უნდა გვექნაო. ახლაც, ასეა: გული მწყდება ჩვეულებრივ, საოჯახო კალენდარში ვის, რომელ მწერალს არ შეხვდებით, მას კი – არა. ის კი არა, მისი დაბადების 100 წლისთავზე მის მშობლიურ კუთხეში არსებულ სკოლას მისი სახელი მიანიჭეს, მაგრამ რამდენიმე წელიწადში გააუქმეს. ერთი თავყრილობის დროს, სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკაში ამ სკოლის დირექტორს რომ ჰკითხეს მიზეზი, თავი იმართლა: სკოლებს ახალი ნომერი რომ მიანიჭეს, ამ დროს გაუქმდაო. სამტრედიის რაიონის ერთ-ერთმა ყოფილმა თავკაცმა – ბორის ფოცხვერაშვილმა ამის გამო საჯაროდ გამოთქვა აღშფოთება და მოითხოვა სახელობის აღდგენა, მაგრამ საბოლოო ინფორმაცია, იმის თაობაზე, თუ რა მოხდა, მერე – არ მაქვს. არადა, ის სკოლა ადრე იყო ძველი, ორკლასიანი სამრევლო სკოლა, პარმენის მამის ხელით ნაგები ვრცელი ოდა სახლი, რომელიც მწერალმა დაამთავრა. ფრიად მოხარული ვიქნები თუ სოფლის გამგეობა და რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი მოახერხებს და სკოლა კვლავ მის სახელს მიანიჭებს.

რაც შეეხება მისი სახლ-მუზეუმის გახსნას – ამის თაობაზე ბევრჯერ იყო გამოთქმული სურვილი, მაგრამ ოფიციალურად რაიმე ნაბიჯი არ გადადგმულა. სამწუხაროდ, სახლი, სადაც მწერალი დაიბადა და გაიზარდა, აღარ არსებობს, მაგრამ მწერლის სახელთან დაკავშირებული სახელობითი კუთხე შეიძლებოდა სოფლის სკოლაში ან სოფლის ბიბლიოთეკაში მაინც ყოფილიყო. თუკი ასეთი სურვილი გამოითქმება და ამის გაკეთება შესაძლებელი გახდება, მზად ვარ ორგანიზატორებს შესაფერისად ხელი შევუწყო, მივაწოდო მწერლის წიგნები, სხვადასხვა გამოცემები და სხვადასხვა ექსპონატები. ბათუმში, სადაც მთელი ცხოვრება გაატარა მწერალმა, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაიხსნა წიგნის მუზეუმი, გამოიყო სპეციალური ადგილი, სადაც განთავსდა ოჯახის მიერ გადაცემული მწერლის პირადი ნივთები და პირადი ბიბლიოთეკა, რის გამოც, ძალიან მადლიერი ვარ ამჟამად ბიბლიოთეკის დირექტორ ქალბატონ ინგა გოგიბერიძის. ასე მგონია, რომ ღირსეულ სახელებს არ უნდა ვუკარგავდეთ შთამომავლობას, “ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზე ხელს იღებს”.

**— მწერლის ოჯახში დაიბადეთ, სამწერლო გარემოში მოგიწიათ აღზრდა, მითხარით რას წარმოადგენს ზოგადად წიგნი ანუ მისი ფენომენი თქვენთვის?**

–ჩემთვის “წიგნის” ცნება უკავშირდება ყველაფერს, რაც კითხვის სფეროს მოიცავს და აერთიანებს შემეცნებით, მხატვრულ-ესთეტიკურ და ფსიქოლოგიურ მხარეებს. წიგნი, როგორც მოვლენა, ჩემი პროფესიული კვლევის მთავარი საგანი იყო. ჩემს ინტერესს წარმოადგენს კითხვის ფსიქოლოგია, რომელიც შეისწავლის, როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების კითხვის საკითხებს და მას განიხილავს, როგორც სოციალურ მოვლენას. ჩემი მეცნიერული მოღვაწეობის დროს შევეცადე ჩამომეყალიბებინა სწავლება კითხვის შესახებ, შემექმნა დარგის ქვესახეობა, რომელსაც მე “ლექტოლოგია” ვუწოდე. ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც დღემდე მასაზრდოებს. თუმცა, სამწუხაროდ, ამჟამად მხატვრულ ლიტერატურას ძველებურად ვეღარ ვკითხულობ. ელექტრონული კითხვა დიდად არ მეხერხება, მირჩევნია ჩვეულებრივ დაბეჭდილი წიგნი მქონდეს ხელთ, თუმცა წიგნების ტექსტების გაციფრებას, პროფესიული თვალსაზრისით, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.



**— თქვენეული შეფასება რომ გააცნოთ საზოგადოებას, რამდენად შეცვალა ადამიანური ურთიერთობები დრომ, რა წაიღო და რა მოიტანა...**

— ცხოვრებამ რა წაიღო და რა მოიტანა მოკლედ სათქმელად ძალიან ძნელია. ორი სიტყვით კი – ეს ადამიანურ ურთიერთობებს ყველაზე მეტად ეხება. ცვლილებები გეგმაზომიერად თუ სპონტანურად ყველა სფეროში ხდება: განათლება, მედიცინა, კულტურა, ტრადიციები, ეკონომიკური კეთილდღეობა და სხვა. ადამიანს უნდა თუ არ უნდა – ეგუება ამას. განსაკუთრებით შესამჩნევია ეთიკურ-ესთეტიკური ცვლილებები. შეირყა ასეთი ტრადიციები როგორიცაა: მეზობლური სიახლოვე, ნათესავმოყვარეობა, ძმობილ-დობილობა, ქალ-ვაჟის დამოკიდებულების ეთიკა, ადათ-წესები, სტუმარმასპინძლობის რიტუალი, მთლიანად ახალი შეხედულებები შეიქმნა ჩაცმა-დახურვაზე, ქცევაზე, სწავლა-განათლებაზე და სხვა მრავალი.

ეს არ ნიშნავს, რომ ყოველივე ახალი დასაგმობია ან უეჭველად მისაღები, რა არის კარგი და რა – არა, ამას დრო დაგვანახებს. გასაგებია, რომ გავლენებს ვერ გავექცევით, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიყოთ მხოლოდ წამხედურ-მიმბაძველები, უნდა შეგვეძლოს კარგისა და ცუდის გარჩევა ისე, რომ უპირველეს ყოვლისა, არ დაზიანდეს ქვეყანა, არ მოიშალოს საუკეთესო ტრადიციები, ყოველივე ადამიანური იყოს დაცული. ამისთვის უნდა ზრუნავდნენ საზოგადოების სათავეში მყოფი ინტელექტუალი ადამიანები: აღმზრდელები, პედაგოგები, მწერლები, ხელოვნების, სპორტის წარმომადგენლები, ცნობილი ადამიანები – მათზე ბევრია დამოკიდებული – დავიცვათ ღირსეული ტრადიციები და ხელი შევუწყოთ ახლის ჩამოყალიბება-განვითარებას – ამას თვით ცხოვრება ავალებს მათ. ტრადიცია ურყევად ჩამოყალიბებული მოვლენაა და მისი ცვლილება ნაკლებად ექვემდებარება იძულებას. ტრადიციები იცვლება, მაგრამ არა უხეში, მკაცრი, შეუსაბამო და შეუფერებელი ზემოქმედებით, არამედ თავისთავად, ხანგრძლივ დროში, პირობების გათვალისწინებით.

**— რას ფიქრობთ ამ ბოლო ხანებში თანამედროვე ლიტერატურაში დამკვიდრებულ “უხეშ” გამომხატველობით ფორმებთან დაკავშირებით?..**

— ვფიქრობ, ლიტერატურაში გავრცელდა და ფეხს იკიდებს უწმაწურობა, პირდაპირ “დედის გინება” – რაც სრულებითაც არ ამართლებს ავტორს... მით უმეტეს, მაშინ, როცა ნაწარმოებში იმგვარი სიუჟეტური ვითარება არაა აღწერილი, რომ ამის საჭიროება იყოს... არ ვიცი, ეს რამდენად გამართლებულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქართველი მკითხველი არ მიიღებს, ვერ შეეგუება ამას... ძალიან იშვიათ შემთხვევაში, შეიძლება ეს იყოს მისაღები, მაშინ, როცა ამის სიუჟეტის გარდაუვალი თავისებურება და აუცილებლობა მოითხოვს... მწერალს უნდა შეეძლოს მხატვრულად, სავსებით ეთიკურად გამოხატოს და აღწეროს ნებისმიერი უხერხული სიტუაცია ისე, რომ მკითხველისათვის ნათელი იყოს რაშია საქმე, რა სიტუაციაა და რა ითქვა... თუ მწერალს ეს არ შეუძლია, ეს მწერლის დაბალ კულტურასა და მხატვრულ ოსტატობაში მის ნაკლოვანებაზე მეტყველებს, გემოვნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**— თქვენი თვალსაზრისით რა მიგაჩნიათ მწერლის უპირველეს დანიშნულებად?**

— ილიას აზრი “პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე” არის ურყევი სიტყვა ამ საკითხთან დაკავშირებით, პოეზია უნდა ემსახურებოდეს ხალხს, ის არაა ოდენ ლამაზი და ტკბილი სიტყვები... ასეა მწერლობაც...

საერთოდ, ლიტერატურაში მხატვრული და შემეცნებითი განუყოფელია, ისევე როგორც ესთეტიკური და ეთიკური... ისინი ერთმანეთს მოიცავენ... ლიტერატურა აღმზრდელობით ფუნქციას ატარებს – ყოველი წაკითხული წიგნი პიროვნებას ინტელექტუალურად უნდა ავსებდეს, მასზე დადებით თუ უარყოფით გავლენას უნდა ახდენდეს – და ეს უარყოფითიც მის სულიერ აღზრდას უნდა ემსახურებოდეს... ლიტერატურით ადამიანი იმდიდრებს გონებას, ხვეწავს გემოვნებას, იმაღლებს კულტურას. მეტაფორულად რომ ითქვას, ყოველი მკითხველი ავტორის თანაავტორიცაა და კრიტიკოსიც. ბევრი თქმულა მწერლის დანიშნულების შესახებ – მწერალი ყველაზე აშკარად გვევლინება საზოგადოების წევრად და თავისი ღვაწლით ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების განვითარებას ყოველი მიმართულებით, იგი, უპირველეს ყოვლისა, მაგალითს უნდა იძლეოდეს თავისი შემოქმედებითა და ცხოვრების წირით.

ელაშარა ლორია
(გალაქტიონ) გიორგაძე

# ნათელა გელეიშვილის საიუბილეოდ!



## ქალბატონ ნათელა გელეიშვილს – სამტრედიელთა დედა ტერეზას

მოვიდა თქვენი დაბადების დღე, 17 ივნისი და კიდევ ერთხელ მინდა თქვენდამი პატივისცემა ხმამაღლა, საჯაროდ გამოვხატო.

ყველას როდი ხელეწიფება კეთილ საქმეთა ჩუმად კეთება–

ვინც გიცნობთ, ვერავინ დაიჯერებს, 8 ათეული წელი რომ მოიტოვეთ უკან. მათ შორის ხართ, ვისთვისაც წლები ოდენ ციფრებია და არაფერი სხვა.

სიმართლეს ვამბობ, შესაშური თქვენი აქტიურობა, სასიამოვნოა რომ განცვიფრებს და ნანახს ასაჯაროებთ საყვარელი სამტრედიელებისთვის და ამას, ისე და ისე, 150 წლის ჩვენი ქალაქის დიდი საუკუნის ტოლი "სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით აკეთებთ, თანაც უწუნოდ.

ცრცელი წერილის დიდი თემაა თქვენი არამცირედი, მარადქემი ხაზგასასმელი წვლილი მიღწევებში, გასული საუკუნის 60-90-იანი წლები რომ იყო დასუნთქული. და კიდევ ის, თუ რამდენ წუთის სოფლელს გაულამაზეთ ცხოვრება საყოველთაო გასაჭირისას.

თქვენი ცხოვრების შუადღე ყოფილიყოს ღირსეულად განვლილი 80 წელი!

იხარეთ, იდღეგრძელეთ საყვარელ, სანაქებო ოჯახთან ერთად.

იამაყეთ, დიახაც რომ, საამაყო წარსულით, აწმყოთი, უბედნიერესი დღეები მრავლად გქონოდეთ...

ლევან გაბუნავა

---

## ვულოცავ!

"ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმე, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ...' – ნოდარ დუმბაძის მარადიხობის ეს კანონი ქალბატონ ნათელასათვის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მრწამსია.

ნათელა გელეიშვილი – რაოდენ მრავლისმთქმელი და თბილად ნაცნობია ეს სახელი სამტრედიელთათვის.

არაჩვეულებრივი მეუღლე, დედა, ბებია, მეგობრობის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ნათელა დღეს იუბილარია.

გულით და სულით ვულოცავ უდრეკად კეთილშობილ, მზიანი და ხინათლიანი სავსე ქალბატონს საიუბილეო თარიღს. მრავალ, მრავალ წელს მისი თვალთა შუქი თავის ოჯახსა და სამეგობროს.

ამაყი ვარ, რამეთუ წილად მხვდა მასთან მეგობრობის ბედნიერება.

მადლმოსილ ტკივილის და დარდის,
ეგ ღიმილი და ეგ თვალთა სხივი,
ქარებისგან გადარჩენილ თის,
თმაში ფიქრის ჩაბნეული მძივი.
სიყვარულის სალოცავი ნიჭით,
სიბნელეში გამკვლელივით გზისა,
ყოველი დღე დამაშვრალი ზრუნვით,
მოტრფიალე საქართველოს ცისა.
ფიქრს აცოცხლებს სიხარულის განცდა,
იმედია თეთრი ფარდის მიღმა,'
ერთგულება, სიკეთე და სითბო,
ერთი ახალ გიბრუნდება ღვთისგან.

პატივისცემით მაყვალა ჩირგაძე

---

**განშორების ჟამს**

წუთისოფელს ეტოვებდი,
სული ამომდიოდა,
გული ტკივილს ებრძოდა,
სულს ცრემლები სდიოდა.
ცად წასული სულები,
თითქოს ერთად ყიხილე.
განცდებს ვეღარ გავუძლე,
გულიანად ვტირე.
მიწა ვერ დაებრუნეთ,
აბა, რა გვაქვს საიქმელი!
გულს მოაწვა ნაღველი
და მოეშვა სარქველი.
მზის სხივებმა უეცრად
აიხილეს თვალები.
გამახსენეს წინაპართ
გულით დანაბარები.
საქართველოს მიწა-წყალს
არ მოაკლდეს დაიცველი.
უნდა გადავარჩინოთ
მისი ყველა მტკაველი.

***

მერცხლების ბუდე დაინგრა.
ჩემი ბავშვობის ღიმილი.
ო, ნეტავ აღარ შემეგრძნო
გულის ახეთი ტკივილი.

**გეძა ფოცხვერიას!**

მე დავინახე შენში პოეტი,
გული გამითბა, ცრემლი მედინა,
პოეტურ ბწკარებს ნაჭიდებული,
ვკითხულობდი და არ დამეძინა.

***

ბოლმა დეორძლიდ დაანთხია,
დამამცირა, დამანგრია.
ურცხვად გული მოიჯერა,
გამიღვიძა, წამაქცია.
გზას ამაყად გაუდგა და
სიტყვა მწარედ დამაწია,
მოთმინებამ გაიმარჯვა.
ძალა სწორედ ამაშია.

***

ვერა, ვერ მოვერიე
ტალღად ქცეულ ფიქრებს,
წუთისოფელს რომ ვშორდები,
თითქოს აღარ ვიმჩნევ.
არ მეშველა ტკივილება,
სვალიდნელზე ფიქრი.
"ღრო ოქროა" ეს ვიცი და
კვლავ ახლისკენ ვილტვი.
მინდა ყველა ესწრაფვოდეს
სხივმოფენილ ნათელს,
ის, რაც ხდება სიბულეოლით,
სახელს ვეღარ გარქმევ.
პატრიოტს და პატრიოტიზმს
არ სჭირდება ახსნა.
სამშობლო და მისი ბედი,
არის წრფელი განცდა.
ადათი და ტრადიცია
არ გადაედოთ გვერდზე.
ის, რაცა გვაქვს მოვუფრთხილოთ
და მივაკრათ მკერდზე.
დავადგასით ტკბილის მზიდი,
ქვეყნის გულის ძგერა,
საქართველო ერთად ყოვნით,
გაბრწყინდება, მჯერა!

***

მონატრება მომიგდ მიწის
და ბავშვობის წლების,
ნააკვნარი ჩემი ფუძის,
მხრებგაშლილი მთების.
ხეივნიდან მომზირალი
ძველი ოდა-სახლის,
იმერული შესახილი
მამხნევებს და თავს ეხრის.
მაგონდება მათი ლადი
ანცობა და კილო.
მოძალებულ ემოციებს
ვუმკლავდები, ვცდილობ.
გულს მომეშვა, რადგან შევხედი,
წარსულის ლაღს და მზიანს,
გიყვირებით, ამ ყველაფერს
სიყვარული ჰქვია.

**გაზაფხული**

მიწის გამოღვიძება და
მისი ღვთიური სურნელი.
გაზაფხული ყვავილების,
უნაზესი, მზისფერი.
ნაირფერად დახატული
პეპლები და ჩიტები.
ფუტკრები რომ ზუზუნებენ,
უნებურად მიხვდები.
გასახლების სურვილებით
მაწრაფულ იღვიძებს ბუნება,
თვალსატაცლა გოგო-ბიჭებს,
მოეძალათ ცეკვნება.
ფრთხილად, განსჯით, დაფიქრებით
გაუარით გზა ხვალის,
საშიშნელოდ გადაებულ ხნულს
მზე დასცქერის, დაზარის.

ნათელა გელეიშვილი

---

## ჩემო გულნათელო მეგობარო!

ნათელა გელეიშვილს!

იუბილეს გილოცავ, ჩემო გულნათელა, ჩემო ძველო, ერთგულო და საყვარელო მეგობარო!

"დროს რას ვერჩი"-თ – მთავარია ადამიანი დროში, მთავარია აღასრულო ჭეშმარიტი ადამიანის როლი ცხოვრებაში, იცოდე ადამიანის სიყვარული და იდეალი ადამიანობისთვის.

შენ ეს როლი ბრწყინვალედ შეასრულე.

კიდევ მრავალ წელს დაგეგულიცლოს შვათათვის სამტრედიული ერიდები!

ღმერთმა დაგვლოცოს!

შენი მარადიული მეგობარი ზოია მამაცაძე

---

შენს წინ მაშვრალთა სავლის მზე ჰქვავის
*ნათელა გელეიშვილს*

ღიაა კარი დამაშვრალთათვის,
მოდიან, რათა შენს გულს დაეყრდნონ
და ასე, დღიდან დღეში გადადის,
წუხილი, დარდი, სხვა სავრთო.
არ გტოვებს ლელვა მარტოს წამითაც,
სხვათათვის ზრუნვა გწადია მხოლოდ,
წრიალებ ფიქრში დღითაც, ღამითაც,
არ უნანს ურვას თავი და ბოლო.
ცრემლითაც ხშირად გენამეს თვალი,
გულს გიწვავს დროის ტკივილი მწარე,
შენს წინ მაშვრალთა სვლის მზე ჰქვავის.
არ მოუხურავ რომელსაც კარებს.

ზოია მამაცაძე

---

## ვულოცავთ!

ქალბატონ ნათელა გელეიშვილს!

სახელოვან იუბილეს გილოცავთ დვაწლმოსილ, ღირსეულ ქალბატონს, იდღეგრძელეთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

პროფესორი ვაჟა თვალავაძე

---

ქალბატონ ნათელა გელეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ.

ლიდა ჯანელიძე, მერაბ არჩვაძე

---

ნათელა გელეიშვილს!

გვიყვარხარ და გვეამაყები, გვინდა, სამყაროს შენი თბილი ნათება ბევრი წელი გაჰყვეს. ადამიანის, რომელმაც თავისი დაბადებით ბედნიერება და სიყვარული მოიტანა დედამიწაზე.

ვინც ახლოს გიცნობს, ამ სიტყვებში გადაჭარბებულს არაფერს დაინახავს, ღირსეული ქართველი ქალის ეტალონი, საუკეთესო შვილი, უნაკლო დედაც, ბებიაც და მეუღლეც, უანგარო მეგობარი. რამდენი რამ ვისწავლეთ შენგან და რამდენი რამ გვაქვს მომავალში შესასწავლი. სიყვარულის, სიკეთის, ქველმოქმედების, მიტევების უნარით დაჯილდოებულს საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხრიდან პატივისცემა არ გაკლია. ამიტომ ძალიან დიდხანს უნდა იდგე ჩვენი მეგობრობის სათავეში. ღმერთი იყოს შენი და შენი ძვირფასი ოჯახის მფარველი.

ქეთევან ჭელიძე, ნატალია კოპალეიშვილი, დარეჯან ქავთარია, მზევინარ გოხუა, ქეთევან ბაჩეჩილაძე, ეთუნა არველაძე, იზო ნადირაძე, ნინო ნანიტაშვილი

---

ნათელა გელეიშვილს!

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია დაბადების დღეს, 80 წლის შესრულებას უდიდესი პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით ულოცავს ღირსეულ სამტრედიელს, ქალბატონ ნათელა გელეიშვილს, უსურვებს ხანგრძლივ ცხოვრებას და ნაყოფიერ საქმიანობას.

"სამტრედიის მაცნე"

ნინო ნანიტაშვილი

# მედეა ხარებავა: "ლიდერის სტატუსი იყო კარგი შედეგი ჩემთვის"




მედეა ხარებავა, 42 წლის, სამტრედიელი, დაიბადა ქალაქ ქობულეთში, ინტელიგენტის ოჯახში. ბავშვობის გატარება სამტრედიაში მოუწია, რადგან მშობლები ჩვენს ქალაქში მუშაობდნენ. დედა თინათინ ლორია, პროფესიით ინჟინერი, მაშინდელ რკინიგზის განყოფილებაში მუშაობდა. მამა, ვახტანგ ხარებავა, პროფესიით საქონელმცოდნე, ავეჯის მაღაზიის გამგე იყო.

მედეა ხარებავამ ამჟამინდელი მე-11, მაშინდელი 24-ე საშუალო სკოლა სამტრედიაში დაამთავრა. სწავლა გააგრძელა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ფიზიკურად მომხიბვლელ და ნაზ გოგონას პროფესიით საქმიანობა ძალიან ცოტა, 4 წელი მოუხდა. როგორც მისი კოლეგები ამბობენ, მედეა ხარებავას ლამაზი და მიმზიდველი კალამი ჰქონდა, თუმცა ახალგაზრდა ქალბატონმა დაოჯახების შემდეგ საყვარელ პროფესიაზე უარი თქვა. 3 შვილის დედას მხოლოდ დიასახლისის ამპლუაში ყოფნა 3 წელი მოუწია. მედეას მეუღლე, ირაკლი ბასკანჩილაძე ყველანაირ პირობას უქმნიდა, პერსპექტიული ახალგაზრდა ქალბატონი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას დაბრუნებოდა. ლილე, დეა და ლუკა დედის სამსახურში გასვლას საბავშვო ბაღის დახმარებით "შეეგუენ".

პროფესიით ვერა, მაგრამ მედეა ხარებავამ თავისი პასუხისმგებლობით და გულისხმიერი მიდგომით, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომლის ავტორიტეტი მოიპოვა. 2010 წლიდან დღემდე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების სამტრედიის სერვისცენტრის კომპანიაში მომხმარებელთა მომსახურების სამსახურის თანამშრომელია. ჰყავს მეუღლე, რომელთან ერთადაც სამ არაჩვეულებრივ შვილს ზრდის.

14 წლის ლილე, 12 წლის დეა, 10 წლის ლუკა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-11 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან. თავიანთი კარგი, დისციპლინირებული ბავშვობით დედას ხელს უწყობენ, სამსახურშიც იაროს და წარმატება განსხვავებულ სფეროშიც მოიპოვოს. დიახ, ვინც იცის, ყველა დამეთანხმება, რომ მედეა ხარებავამ ძალიან მოკლე დროში ლიდერის სტატუსს მიაღწია. ახალგაზრდა ქალბატონი "გრინვეი" გლობალის ოფიციალური ბიზნესპარტნიორია საქართველოში. ამ ამბავს "სამტრედიის მაცნე" სოციალურ ქსელში მედეა ხარებავას გვერდიდან ყოველდღიურად იგებდა.

დავუკავშირდით წარმატებული კომპანიის ლიდერს და განვლილი გზის შესახებ საუბარი ვთხოვეთ.



"მოულოდნელად მოვხვდი კომპანია "გრინვეიში". მიუხედავად იმისა, გარკვეულ ინფორმაციას ვფლობდი მის შესახებ, თუმცა არ ვთანამშრომლობდი და ვერც წარმოვიდგენდი, თუ ამხელა წარმატებას მივაღწევდი. ერთ დღეს ჩემი შვილებისთვის ბიოაქტიური დანამატის "ომეგას" შესაძენად დავუკავშირდი კომპანიის წარმომადგენელს, ქეთევან კაჭარავას. რადგან მან "გრინვეის" პროდუქტით დაინტერესება შემამჩნია, შემომთავაზა "გრინვეის" წევრობა. აქვე მინდა, გითხრათ: "გრინვეი" ეს არის ჯანმრთელი მომავალი. და სანამ ჩემს ამ სფეროში მიღწევებზე გიამბობდეთ, აქვე გირჩევთ: უკეთესი მომავლისთვის უნდა ვიყოთ გრინვეიელი, მომხმარებელი, ან მისი ბიზნესპარტნიორი. 5 წლის წინ ცნობილმა მეცნიერმა ლეონიდ მარგუნოვმა გააერთიანა რამდენიმე ქვეყნის დირექტორები ერთ მთლიანობაში, შექმნა კომპანია "გრინვეი", ანუ მწვანე გზა. მარგუნოვს უნდოდა ისეთი კომპანიის შექმნა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს ერთი დიდი ოჯახის წევრებად გახდიდა, სურდა, ჩვენი ყოფაცხოვრებიდან ქიმიური საშუალებები ამოეღო და ჩაენაცვლებინა ბუნებრივი პროდუქტებით.

ქეთევან კაჭარავას რჩევები გამოვიყენე თითოეული პროდუქტის შეძენით საკუთარ ოჯახში, საკუთარ თავზე და შედეგი მივიღე არაჩვეულებრივი. ეს იყო თავის მოვლის, სახლის დალაგების, ჯანმრთელობის საშუალებები. თუ ამ პროდუქციას შენ თვითონ არ იცნობ, სხვას ვერ გააცნობ, ფაქტია. ამიტომ ჩავირიცხე ბიზნეს-აკადემიაში, სადაც სრულფასოვანი ინფორმაცია მივიღე ცალკეული პროდუქციის შესახებ. წარმატებით ჩავაბარე ხუთი გამოცდა, ახლაც სტუდენტად ვითვლები. გრძელდება აკადემიაში სწავლა, თუმცა ამ პერიოდში, რასაც მოკლე დროს უწოდებენ, მე მივაღწიე უდიდეს წარმატებას, ლიდერის სტატუსი იყო კარგი შედეგი ჩემთვის. მყავს გუნდი, ვიწვევ ადამიანებს ჩემს გუნდში სამუშაოდ, რომლის მენტორი ვიქნები მე და ამომწურავად გავაცნობ ყველა ინფორმაციას. საქართველოს მასშტაბით 5 ოფისი გვაქვს, ინტერნეტით ხდება პროდუქციის გამოწერა და თანხის გადარიცხვაც. გვაქვს თავისუფალი გრაფიკი, მთავარია გქონდეს, გამართული ტელეფონი, ინტერნეტი. არ ვართ შეზღუდულები, არ გვყავს უფროსი და გრაფიკიც თავისუფალია. კომპანია სამი თვის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის 5%-ს, მომდევნო სამი თვე 10%-ს, შემდეგ 15%-ს, შემდეგ 20%-ს გვირიცხავს. პარალელურად, თუკი გახდი S-1, გიმატებს 6%-ს, S-2-ზე 12 %-ს, S-3-ზე 18% და ლიდერზე 24%-ს, რაც საკმაოდ დიდი თანხაა. ჩვენს ხელფასს აქვს ბევრი, მინიმუმ, სამი ნული.

მე რომ არ გამომეყენებინა ბევრი პროდუქცია, ვერაფრით ვურჩევდი სხვას. როცა შენ გამოყენებული გაქვს ესა თუ ის პროდუქცია, მისი სხვისთვის გაცნობა აღარ გიჭირს და შედეგს ძალიან მარტივად აღწევ. ეს არის ცნობილი პროდუქცია, დამზადებული აკადემიკოსთა ქალაქში, ნოვოსიბირსკში. ერთზე მინდა, შევაჩერო თქვენი ყურადღება, გვაქვს 12, სხვადასხვა დანიშნულების, სამკურნალო ჩაი, რომელიც დაკრეფილია ალტაის მინდვრებზე, უშუალოდ მცენარეებით დამზადებული, რომელიც სხვაგან არ ხარობს. 2 ნომერ ჩაის ქალის ორგანიზმის "ხოთქს" ეძახიან. ჩვენთან კომპანიაში არიან ექიმები ჩართულები, რომლებიც სისტემატურად კვირაში 4 დღე გვაწვდიან ინფორმაციას ბიოაქტიურ დანამატებზე. 12 ჩაიდან მხოლოდ 10 ნომერს, თირკმლის ჩაის ვერ მივაწოდებთ მომხმარებელს ექიმის ანალიზის გარეშე. მსოფლიო ბაზარზე ბადალი არ ჰყავს "გრინვეის" "ომეგას". ეს არის ნორვეგიული ცივი ოკეანის ღრმა წყლების თევზის ქონი. მსოფლიოში ერთ-ერთი ხე არის, რომელზეც სოკო არ ხარობს და ამ ხის ნაყოფიდან არის დამზადებული ჩვენი "ფუნგისტოპი", ანუ სოკოს წამალი.



უამრავი სხვადასხვა დაავადების ბიოაქტიური დანამატი გვაქვს, რომლის შესახებ, თუკი თქვენ დაინტერესდებით, სხვა დროსაც მოგაწვდით ამომწურავ ინფორმაციას".

შრომატევადი საქმიანობის მიუხედავად, მედეა ხარებავას ხელი არ ეშლება საუკეთესო თანამშრომლის ავტორიტეტი შეინარჩუნოს წყალმომარაგების კომპანიაში: "როცა კონკრეტულ პიროვნებას ვთავაზობ გაწევრიანებას, მეუბნებიან, სამსახურს ვერ შევუთავსებ, არ შემიძლია გაყიდვა, მე კი იქვე ვპასუხობ, ჩვენ არაფერს არ ვყიდით, ჩვენ მხოლოდ ვთავაზობთ და ვაცნობთ მომხმარებელს "გრინვეის" პროდუქციას და თავად ირჩევს.

თქვენს მკითხველს ერთი სული აქვს, ალბათ, შეიტყოს "გრინვეის" პროდუქციის სიკეთის პარალელურად, პირადად ჩემთვის "გრინვეის" "ლიდერობამ" რა ცვლილება მოიტანა. ჩემი ბიუჯეტი საკმაოდ გაიზარდა, აღარ ვარ დამოკიდებული ძირითადი სამსახურის ხელფასზე და მეუღლის შემოსავალზე, გავხდი დამოუკიდებელი ქალი და რაც მთავარია, მინდა, გითხრათ, "გრინვეიში" შრომა საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით ფასდება. დღეს "გრინვეის" ალტერნატივა არა აქვს ბაზარზე. ეს არის სახალხო კომპანია, რომელშიც ყველას შეუძლია, მიიღოს შემოსავალი".

# ფუნჯით ამეტყველებული სამყარო

მარიამ ახალაძე მე-10 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა. 5 წლიდან ხატავს. რამდენიმე წელია კი სამტრედიის სამხატვრო სკოლაში ეუფლება ხატვის პროფესიას, პედაგოგ იაგო ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით.

მარიამისა და ჩვენი გაცნობა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი და აქტიური ქალბატონის, მაყვალა თავაძის მეშვეობით მოხდა. მეზობლის გოგონა კარგად ხატავს. იქნებ დაინტერესდეთ. – მითხრა და ჩვენი შეხვედრაც შედგა.

წუნს ნამდვილად ვერ მისცემთ მარიამის ნახატებს, არა თუ მე, პროფესიონალებიც იწონებენ მათ და წარმატებებიც უკვე სახეზეა.

საქართველოს საპატრიარქოს პატრონაჟით გამართულ ინტეგრირებულ გამოფენაზე "ტიტები", რომელიც ქაშუეთის ეკლესიის ეზოში გაიმართა, მარიამი დიპლომით დააჯილდოვეს. იგი 9 აპრილს მიეძღვნა.

ამ დღეებში კი მარიამის სახელზე ესპანეთიდან სპეციალური დიპლომი ჩამოვიდა, რომელიც მისი ნამუშევრების მოწონების დასტურია კომპეტენტური ჟიურის მიერ.

"ესატავ გუაშით, დღემდე ასამდე ნამუშევარი მაქვს შესრულებული. ჩემი სურვილია, პერსონალური გამოფენა მოვაწყო და სწავლა სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელო. საყვარელ მხატვრად ვან გოგს ვაღიარებ. მალე კაზინოში მივემგზავრებით, საიდანაც, ვფიქრობ, წარმატებებით დავბრუნდებით.

განსაკუთრებით მინდა მადლიერება გამოვხატო სამხატვრო სკოლის (დირექტორი ქალბატონი ნინო ხიხუა) პედაგოგის, ბატონი იაგო ჩხიკვაძის, მისამართით. გარდა იმისა, რომ იაგო მასწავლებელი ბრწყინვალე პედაგოგია, კარგი ადამიანი და მეგობარიცაა." – გვესაუბრება მარიამი.

ამჯერზე სულ ესაა. ვიმედოვნებთ, "სამტრედიის მაცნე", არც თუ დიდი ხნის შემდეგ, მარიამის პერსონალური გამოფენიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე გამცნობთ.

ლევან ბაბუხავა



მიოდრაგ დრაჟა მილანოვიჩი

# პატარა ლტოლვილი

– პატარა ბიჭო, მოდი ჩემთან! რომელ კლასში ხარ?

– მეოთხეში. – როგორ ხარ? – კარგად. – სკოლაში როგორ მიდის საქმეები? – ყველაფერი რიგზეა. – აქ ვისთან ცხოვრობ? – ბებიასთან.

– დედა სად არის? – დედა ბოსნიაშია, მამასთან ერთად.

– შენთან ერთად რატომ არ წამოვიდა? – მამას ეხმარება ომში.

– დაწყებითი სკოლა სად დაამთავრე? – პირველი კლასიდან აქ ვსწავლობ.

– შენები ხშირად გიკავშირდებიან?

– ადრე რეკავდნენ, ახლა სატელეფონო ხაზები დაწყვეტილია და კავშირი აღარ გვაქვს. – ამიტომ შენ ნერვიულობ?

თავი ჩაღუნა და სახელოთი თვალზე მომდგარი ცრემლი შეიწმინდა.

– კარგი, ნუ ღელავ! დედიკო და მამიკო კარგად არიან, მათ არაფერი მოუვათ.

– დედა დაჭრილი იყო ფეხში. – როდის? – ჯერ კიდევ სატელეფონო ხაზების განადგურებამდე.

– აბა, ახლა უკვე გამოჯანმრთელებული იქნება. ისევ დახარა თავი და მოიწმინდა ცრემლები.

– კარგი, ნუ ტირი! ერთი ეს მითხარი, და ან ძმა გყავს?

– დაიკო მყავს, პატარა. – რამდენი წლისაა? – ჯერ სკოლაში არ დადის. – ისიც აქ არის? – არა, დედასთან დარჩა ბოსნიაში. თქვა და ისევ ცრემლებით აევსო თვალები.

– ნუ ტირი, პატარავ! არ შეგეშინდეს! მალე დაბრუნდები სახლში, გპირდები.

– ჩვენი სახლი დაბომბილია, სკოლაც დაბომბეს.

– ახალ სახლს ააშენებთ. – ახალი ისეთი არ იქნება, როგორც ძველი.

– რატომ? უკეთესიც იქნება, უფრო ლამაზიც...

– ვერ ავაშენებთ, მამას ფული არა აქვს. – ამოიოხრა მან.

– ნუ გეშინია, მამაშენი ძლიერი კაცია, ის ყველაფერს შეძლებს. აი, ნახავ. – დავაიმედე ბავშვი და თვალი ავარიდე.

– აქ ძმაკაცები გყავს? – შევეკითხე ისევ. – კი, ბევრი.

– ბოსნიაშიც გყავდა?

ამ შეკითხვაზე თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა ატირდა.

– რა იყო, რა მოგივიდა? – გაკვირვებულმა ვკითხე, თან მოვეფერე, თავზე ხელი გადავუსვი და თმები ავუჩეჩე. – რა ჰქვია ბოსნიელ ძმაკაცს, ვინც გაგახსენდა?

– სლავკო. სლავკო მოკლეს!!! – მითხრა აქვითინებულმა.

– რას ამბობ! რატომ მოკლეს? ვინ მოკლა?

– არ ვიცით, მკვდარი იპოვეს. – ვერ გაიგეს ვინ ესროლა?

– არ უსვრიათ, დაკლეს!..

ამის გაგონებაზე ენა ჩამივარდა, რა მეთქვა არ ვიცოდი. ბავშვი ჩავიხუტე და საკმაო ხანს ვიყუჩეთ. ხანამ ორივენი ცოტათი მაინც დავმშვიდდებოდით.

მერე საუბრის თემა შევცვალე, რომ ბიჭი მძიმე სულიერი მდგომარეობიდან გამომეყვანა და ვკითხე:

– შენი ბებო თავს როგორ გრძნობს, ხომ არ ავადმყოფობს?

– ბებო მოხუცია, სახლში შრომობს, მე მივლის, წინდებს და თბილ ნასკმელებს მიქსოვს.

– საშინაო დავალებების შესრულებაში ვინ გეხმარება? – არავინ.

– თუ გინდა მე დაგეხმარები, როცა დაგჭირდება. არ მოგერიდოს.

აი, ხვალისთვის და დავალება გაქვთ, ვთქვათ, მათემატიკაში?

– არ ვიცი, ვერ გავიგონე.

– რატომ, მასწავლებელი ხმადაბლა ლაპარაკობს?

– არა, გაკვეთილზე ფიქრებში გავერთე. გამახსენდა მე და ჩემი დაიკო სკლავკოსთან რომ ვიყავით. მე და სლავკო კარში ბურთის გატანაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. დაიკო იქვე ახლოს დახტოდა, გვიყურებდა და ტაშს გვიკრავდა. ანგარიში ხუთით ნოლი იყო ჩემს სასარგებლოდ. გაკვეთილის დამთავრების ზარი არც გამიგია, ისე ვიყავი გართული.

– მერე მათემატიკა? – შევახსენე ბიჭს სკოლა.

– მათემატიკა სულაც არ მჭირდება. მე დედიკო და მამიკო მინდა... და ჩემი დაიკო.



– ამას მე გპირდები, ხომ გითხარი!

– მაშინ გაგზავნე. ბიძია. – სად? – მათ ჩამოსაყვანად!

– კი, მაგრამ ამხანაგების მიტოვებას შეძლებ?

– არ ვიცი, მე აქ მომწონს. კარგად ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილს მეძახიან. თუმცა მე ლტოლვილი არ ვარ. მე არ გამოვქცეულვარ. სლავკო რომ დაიღუპა ჩვენ, ბავშვები მოგვაგროვეს და სატვირთო ავტომანქანით აქ გამოგვგზავნეს. მაშინ მამამ მითხრა: შვილო, სერბეთში მიდიხარ ჩვენს მოხუც ბებიასთან. ამჟამად იქ ომი არ არის, სიმშვიდეა. ახალ ამხანაგებს შეიძენ, ჩვენ კი დაგირეკავთ ხოლმე. მერე ისევ ერთად ვიქნებით".

– მალე იქაც დამთავრდება ომი და შენც წახვალ, ნინოსლავ!

– სად წავალ? – როგორ თუ სად? იქ, სადაც მონატრება გეძახის.

– მე აქაური ამხანაგებიც მიყვარს. ისინიც მომენატრებიან.

– მერე ჩამოხვალ მათ სანახავად. ისინიც ჩამოვლენ შენთან.

– არ ვიცი, იმდენი ვინმე გვემუქრება, რომ...

– ვინ გემუქრებათ? – ამერიკელები, ნატო...

– ბოსნიაში მუსულმანი ამხანაგებიც გყავს? – რა თქმა უნდა!

– მათგან ვინმე ხომ არ დაზარალებულა? – ვისგან? – სამხედროებისგან, ომისგან... – არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ბიჭმა.

– რომ დაზარალებულიყო ისიც შეგეცოდებოდა? – რა თქმა უნდა.

– ისევე როგორც სლავკო?

– ისევე.

– შენ კარგი ბავშვი ხარ, ნინოსლავ, კეთილი, ჭკვიანი. მითხარი, შენი აზრით, ვინ არის დამნაშავე ამ ომში, კარაჯიჩი თუ ალია?

– ვერ გეტყვით. ვიცი, რომ ბავშვები არ არიან დამნაშავე... ბებიაჩემი კი ამბობს ყველაფერი ვიღაც სატანას ბრალიაო.

– ღმერთი სატანაზე ბევრად ძლიერია, ნინოსლავ, ასე რომ, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება! ჩვენ კი დღეიდან მეგობრები ვართ. ხომ ასეა?

მან გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

სერბულიდან თარგმნა
თემურ პირველმა

---

ბუჩან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს ცაცანაშვილების ოჯახს ქალბატონი

ლიანა კუჩია - ცაცანაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

## პროდუქტები, რომლებიც დემენციისგან გვიცავს

დაბერების შემსწავლელი ნაციონალური ინსტიტუტის (აშშ) მეცნიერმა დაადგინეს, რომ ანტიოქსიდანტების – ლუთეინის, ზეაქსანტინებისა და ბეტაკრიპტოქსანტინის (კაროტინოიდები) სისხლში მაღალი დონის შემთხვევაში, ხანდაზმულობისას, დემენციის განვითარების რისკი მნიშვნელოვნად დაბალია. კაროტინოიდების მდიდარ წყაროს წარმოადგენს მწვანე ფოთლოვანი ბოსტნეული, როგორიცაა ისპანახი, რუკანი, ოსრახუში, ასევე მწვანე მუხუდო, ბროკოლი, გოგრა, ბარკოსნები, ფორთოხალი, მანდარინი, ხურმა, პაპაია, სტაფილო, კივი, ბულგარული წიწაკა. ვაშლი. ანტიოქსიდანტები ტვინის უჯრედებს იცავენ ჟანგვითი სტრესისგან გამოწვეული დაზიანებებისაგან. მეცნიერებმა დასკვნები გააკეთეს შვიდი ათასი ადამიანის მონაცემების გაანალიზებით, რომელთა ასაკიც კვლევის დასაწყისში იყო არანაკლებ 45 წელი. ყველა მათგანმა გაიარა სამედიცინო შემოწმება და ჩააბარა სისხლი ანტიოქსიდანტების შემცველობაზე. მონაწილეებზე დაკვირვება გაგრძელდა 16 წლის განმავლობაში. მიღებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ სისხლში ლუთეინისა და ზეაქსანტინის დონის დაახლოებით 15,4 მკმოლ/ლ გაზრდით, დემენციის რისკი მცირდებოდა 7%-ით. რაც შეეხება ბეტა-კრიპტოქსანტინს, სისხლში ამ ნივთიერების დონის დაახლოებით 8,6 მკმოლ/ლ მომატებისას, დემენციის რისკი 14%-ით მცირდებოდა.

ლალი ხოჭავა

---

## მერაბ სტურუას გახსენება



მერაბ, 4 ივნისი შენი დაბადების დღეა, რომელიც ძალიან გიყვარდა. წელს უშენოდ უნდა აღვნიშნოთ. ძალიან გვტკივა უშენობა, ჯერ კიდევ ვერ გავითავისეთ, რომ ჩვენს შორის არ ხარ. ყველა ჩვენგანისთვის დიდი ტკივილი ხარ. ყველაზე პირველად დაბადების დღეს საყვარელი ძმები და მშობლები მოგილოცავს. გილოცავთ შეუსრულებელ 61 წელს, განისვენე მშვიდად, სადაც მართალნი განისვენებენ.

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს თანამშრომლები

---

## გოგიტა წულაიას ხსოვნა

ის მოხდა, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. უკვე მარადისობაში დაიდე ბინა, აქ დარჩენილებს კი შენი მონატრება და უშენობით გამოწვეული ტკივილი დაგვიტოვე. ჩემს თვალწინ განვლო შენმა განუმეორებელმა ბავშვობამ, ყმაწვილკაცობამ. წასვლა და ლამაზი მოგონებებიც თან წაიღე.

ნათელში შენი სპეტაკი სული, ჩვენო კეთილო, ალალო, მარად მომღიმარო გოგიტა.

ლევან გაბეჩავა

ჭიდაობა

## გიორგი ზაქარიაძე საქართველოს ჩემპიონია

სამტრედიელ მოჭიდავეთა წარმატებებით, დიახაც რომ, განებივრებულები ვართ. არცაა საკვირველი ლეგენდარულმა ლანიტელმა მოჭიდავემ, ვახტანგ ბალავაძემ სიჩაუქით ხომ მსოფლიო აალაპარაკა. ისიდ რომ უწოდეს მას "ჭიდაობის პროფესორი" და სხვა საპინო ზედწოდებები. ვრცელი წერილის თემაა ის წარმატებები, ბატონების ბადრი შენგელიას, ავთანდილ თარგამაძის, ვეფხია სტურუასა და სხვათა აღზრდილებმა რომ მოიპოვეს სხვადასხვა წლებში.

სასიამოვნოა ტრადიციებს არც თანამედროვე სამტრედიელები რომ არ ღალატობენ და პრესტიჟულ შეჯიბრებებში მიღებული ჯილდოებით ამრავლებენ მოჭიდავეთა მონაგარს.



28 მაისს გორმა, სოფელ შინდისში უმასპინძლა საქართველოს პირველობას 18 წლის ზემოთ მოჭიდავეთა შორის, რომელიც 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. მასში ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები, მათ შორის სამტრედიის საჭიდაო კლუბის "ფალავანი" (დირექტორი ვეფხია სტურუა) აღზრდილები: გიორგი ზაქარიაძე, დავით ბაღდავაძე და სერგო გოგიშვილი მონაწილეობდნენ. ხუთი შეხვედრა სუფთა გამარჯვებით დაასრულა გიორგიმ და გახდა საქართველოს ჩემპიონი მძიმე წონით კატეგორიაში.

მესამე ადგილი სერგო გოგიშვილმა (90 კგ. წონით კატეგორია) დაისაკუთრა.

ისინი ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი) ფულადი ჯილდოთი და შესაბამისი დიპლომებით დასაჩუქრდნენ.

განსაკუთრებით გვსურს გიორგი ზაქარიაძის მიღწევებზე გავამახვილოთ ყურადღება. იგი 10 წლის ასაკიდან ჭიდაობს, მწვრთნელები, ბატონები ავთანდილ თარგამაძე, ბადრი შენგელია. გიორგი ჭაბუკებში მრავალგზის ჩემპიონი გახლავთ ძიუდოში, ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, იგი საქართველოს ჩემპიონია ჭიდაობის ოთხ სახეობაში: ძიუდო, ქართული ჭიდაობა, სამბო და "ყაზახკურესში" (ყაზახეთის ეროვნული სახეობა).



ასევე ევროპის პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში და მსოფლიო თასის მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონი (გუნდური) ახალგაზრდებს შორის ძიუდოში, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი "ყაზახკურესში" და ა.შ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ჩემპიონისა და მათი მწვრთნელების უდიდესი გარჯის შედეგია.

ისღა დაგვრჩენია, სამომავლოდაც წარმატებები ვუსურვოთ გიორგი ზაქარიაძეს, მათ წვრთნელებს მომავალ ტიტულოვან ასპარეზობებში.

ლევან ბაბეჩავა

## მადლობა

ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, უღრმეს მადლობას მოვახსენებ იმერეთის ჯანდაცვის სამხარეო სამედიცინო ცენტრ "იმერ მედის"" კლინიკის თერაპიულ დეპარტამენტის მთავარ ექიმს, სოფიკო ბუსკივაძეს თერაპიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ექიმ ნაირა ბოგვერაძეს, ხარისხის მენეჯერს, ექიმ სოსო ნანეიშვილს, კარდიოლოგიური დეპარტამენტის დირექტორს, ექიმ კარდიოლოგ, გიორგი ბრეგაძეს.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მათებრ ნიჭებული მკურნალები.

ავთანდილ კაშია
თადარიგის ვიცე პოლკოვნიკი

## ფეხბურთი
## ჩემპიონთა ლიგა

**მეთოთხმეტედ**

უეფას ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ფეხბურთში მეთოთხმეტედ გახდა მადრიდის (ესპანეთი) "რეალი", რომელმაც 28 მაისს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ფინალურ მატჩში მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა ლივერპულის (ინგლისი) "ლივერპული".

**მზადების მიზნით**

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების მიზნით საქართველოს 21-წლამდელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი რამაზ სვანაძე) საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა ფეხბურთში 5 ივნისს გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე რუმინელ თანატოლებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

ევროპის 2023 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს საქართველო რუმინეთთან ერთად უმასპინძლებს.

## რაგბი
## მეოთხედ

საქართველოს ევროპული ჩემპიონატის გამარჯვებული რაგბში მეოთხედ გახდა ბათუმის "ბათუმი", რომელმაც 5 ივნისს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის "დინამო არენაზე" ფინალურ მატჩში ანგარიშით 23-14 დაამარცხა ბოლნისის "ყოჩები".

იორამ ნიკოლეიშვილი

## ქალბატონ გიული ტორონჯაძეს!

დიფარული ტკივილი და ხვედრიანი მზერა,
როგორც ექიმს პატივსა გცემთ. შენი სიტყვის გჯერა,
გვერდითა მდგომი კარგად ესმით თქვენი გულის ძგერა.
სამტრედიამ შეგიყვარათ, თავადა გრძნობთ, მჯერა,
დაილოცოს თქვენი თბილი, მადლიანი კვრა.

პატივისცემით, მადლიერებით და საუკეთესო
სურვილებით ნათელა გელეიშვილი

## ვულოცავთ!




ჩვენი ქალაქის ღირსეულ წარმომადგენელს, საერთაშორისო დიდოსტატს ჭადრაკში, მსოფლიოს ჩემპიონ "სენიორ" მწვრთნელს, დავით ჯოჯუას, ვულოცავ დაბადების დღეს.




სამტრედიელ ("ნახალოვკელ") გოჩა ჩაჩუას, მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციამ ფიდეს არბიტრის წოდება მიანიჭა.

**ქალბატონ დარეჯან გოგიავას!**

"მეზობელო კარისაო", გულით გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულით აღსავსე დღეებს და წლებს გისურვებთ. თქვენს ლამაზ ოჯახს არ მოჰკლებოდეს უფლის მადლი.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით
ნათელა გელეიშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გობია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა